ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 35

აღა-მამად-ხანის შემოსვლა

ქ. ტფილისში

თ. ა. ვახ.-ძე ჯ.-ორბელიანისა

გადმობეჭდილი

ჟურნალ „მოამბიდან“

[1895 წ. № VIII]

ტფილისი
სტამბა წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა
1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 сентября 1895 г.

აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში

აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში *)

აღა–მამად-ხანის შემოსვლა ქალაქ ტფილისში აღვწერე მე 1844 წელსა და შემდეგ მეფის გიორგის ძის ბატონიშვილის თეიმურიზისაგან დაწერილი ვიშოვე, «აღა–მამად- ხანის შემოსვლა ქ. ტფი–ლისში», წავიკითხე და გავკვირდი, ამისათვის რომ მცირედი მზგავსეზა არა იყო-რა იმის და ჩემს აღწერაში, როგორც ბატონიშვილი თეიმურაზ აღწერს, თუ იმ დაწერილობით და იმდენის ჯარით შებმიყვნენ აღა–მამად-ხანსა, იმაზე მომატებული ჯარი რომ ჰყოლოდა, რაც ჰყვანდა, მაინც კერას უზამდნენ ქართველებსა ქ. ტფილისის მახლობელს სიმაგრეებში და დარწმუნებული ვარ, რომ დამარცხებული

*) „აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში,“ წერილი ალექსანდრე გახტანგის ძის ჯამბაკურიან ორბელიანისა, შეიცავს განცალკევებულ ნახევარ თაბახიან რვეულს, რომელშიაც 48 გვერდია და დაწერილია ყარანდაშით, მაგრამ გარკვეულათ და ლამაზათ. ეს რვეული აღმოჩნდა განსვენებულის ქაღალდებში, რომელნიც ჩვენ განვიხილეთ და კნეინა მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურიან ორბელიანის ნება დართვით სხვა მათ მიერ შემოწირულ წიგნებთან და სიგელ-წერილებთან ერთად გადავეცით წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავს. სტატია დაწერილია 1844 წ., ხოლო შემდეგ, როდესაც ალექსანდრე ორბელიანს წაუკითხავს თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი „აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქ, ტფილისში“, ავტორს დაუწერია შესავალი“, რომელშიაც ის ეხება თეიმურაზის წერილს და მასში მოყვანილ ცნობების სიმართლეს. „შესავალი“, დაწერილია 1850 წ. თაბახ-ნახევარ ქაღალდზე ყა–რანდაშითავე. წერილი ა. ორბელიანისა დამყარებულია უმეტეს შემთხვევაში თანამედროვე პირების ნაამბობზე, რომელთა შორის ურევია თეკლე ბატონისშვილიც, ასული მეფე ირაკლი მეორისა და დედა ჩვენი წერილის ავტორისა. ყველა შენიშვნები ამ სტატიისა, რომელნიც სხოლიებში იბეჭდებიან, ეკუთვნიან თვით ავტორს. ამ წერილის დაბეჭდვა ამჟამად მით უფრო საჭიროთ დავინახეთ, რომ ათ ეკენისთვეს ამა 1895 წ-სა სრულდება ერთი საუკუნე მას შემდეგ, რაც პირველად აღა-მამად-ხანი მოადგა ქ. ტფილისს და თერთმეტს იმავე თვი–სა აღაოხრა ჩვენი დედა ქალაქი. ტფილისის აოხრებამ აღა-მამად-ხანის მიერ ისე–თი თავზარი დასცა საქართველოს, რომ ამას შემდეგ საქართველომ ვეღარ წამოდ-

დააბრუნებდნენ ყიზილბაშებს, სადაც აქ აღა-მამად-ხანის აღწერაში, ყოველი უფრო კარგად დაინახება, როგორ და ვითარ იყო. ის დალოცვილი ბატონიშვილი თეიმურაზ იმ საშინელს და საკვირველს ამბებს მოესწრა და რატომ ყველა სწორეთ არ აწერა, უფრო სახარბიელ. არ იქნებოდა, მინამ ისე გდაცვლით და ჩაჩქმალული? – განა იმას კუდი ეწოდა რაზედმე?

ბატონიშვილი ივანე (ისიც მეფის გიორგის ძე) უფრო დიდი შრომის მოყვარული იყო, მინამ ბატონიშვილი თეიმურაზ, ის კი მოერიდა იმ ამბების აღწერასა, იცოდა როგორი დაღი უნდა დაესო რამდენიმესათვის, ისევ ისე დააგდო ას ანბები: იქნება სიჩუმეში დაიკარგოს გაქრესრო. ისიცკი შემცოდეა სვინიდისთან. იმას უნდა ყველა აეწერა, მინამ ბატონისშვილს თეიმურაზს იმისთანა

გა ფეხზე. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოურკვეველი, თუ რა იყო მიზეზი აღა-მამად-ხანის ამხედრებისა, მის უეცრივ მოსვლისა და ქართველების დამარცხებისა ამ ომში, მაშვინ როდესაც ირაკლის მეფობაში ქართველებს არა ერთხელ დაუმარცხებია აღა–მამად-ხანისთანა მტერი, ხოლო ეგ კი ცნობილია, რომ შინაურ მტრებს აღა-მამად-ხანის შემოსვლაში და მის გამარჯვებაში დიდი ადგილი ეჭირა. იმ ერთმა გუნდმა ქართველებმა (სულ 2,700 ქართველი იყო წინააღმდეგ 70,000 სპარსელი ჯარისა), რომელიც საბრძოლად მიეგება მტერს, ისეთი საარაკო მხნეობა და გმირობა გამოიჩინეს, რომ თვით მძვინვარე და შეუბრალებელ მტერსაც ათქმევინეს, რომ ასეთი თავ-განწირვა და გმირობა არ გვინახავსო. თუ რამდენი მამაცობა გამოიჩინეს ქართველებმა, იქიდგან სჩანს, რომ ათს სექტემბერს მათ სრულებით დაამარცხეს მოწინავე ჯარი სპარსელებისა და აღა-მამად-ხანმა გადასწყვიტა უკუქცევა, მაგრამ განჯის ხანმა დაარწმუნა, რომ ქართველებს სულ ერთი მუჭა ჯარი ჰყავსო

და ქალაქის მცხოვრებნი სტოვებენ ქალაქსაო. მეორე დღეს ქართველებმა უკუ აქ-
ციეს სპარსელები და აღა-მამად-ხანის თვალ წინ წაართვეს მათ ბაირაღები. შემდეგ
როდესაც მთელი ჯარი სპარსელებისა ერთად მოადგა ტფილისს ყოველ მხრიდან,
სპარსელები სამჯერ უკუქცეულ იყვნენ ქართველების მიერ, მხოლოდ როდესაც
უმეტესი ნაწილი ქართველების ჯარისა დაიხოცა ამ უთანასწორო ომში, მაშინ
გზა მიეცათ სპარსელებს ქალაქმი შემოსვლისა, მაგრამ მეფე ირაკლი კაცმა
ბრძოლის ველს ვერ მოაცილა, მან თითქო იგრძნო, რომ საქართველოს აღსასრუ–
ლმა მოაღწია და როდესაც მისმა პირადათ ლომსავით შებმამ და თავგანწირვამ
ვეღარ გასჭრა, შიგ შუაგულს მტრებში შევარდა და იქ ხმალდახმალ დაიწყო კაფვა
მტრებისა, ცხადი იყო, რომ მას უნდოდა თავი შეეწირა საქართველოსთვის, მაგ-
რამ ბატონიშვილმა იოანემ არ დაანება. სამასი კაცით მიიჭრა მეფე ირაკლის-
თან, თავ-განწირვით მოუგერა მტრები და ძალის-ძალად გამოიყვანა ის ბრძოლის
ველიდგან. ხოლო სხვები იქვე შეაკვდნენ მტრებს და გმირულად შესწირეს თავი მა-
მულს მის უკანასკნელს სულთახუთვაში. მეტი არ იქნება ამ გმირების სული ასი
წლის შემდეგ ლოცვით მაინც მოვიხსენიოთ.

ე. თაყაიშვილი

ტეუილებით გზე გაეჯიჯგნა ის უებრო და გასაშტერებელი დრო სიმწა-
რისა საქართველოში.

მე ამ შესავალ ში ამას იმისთვის არა ვწერ, რომ მე ჩემი დავა-
მტკიცო-მეთქი. იმისათვისა ვწერ, რომ ბატონიშვილის თეიმურაზი-
საგან მწყინს; იმას უნდა დაუფერებლივ ყველა სწორეთ დაეწერა,
რადგან მომსწრე იყო იმ ამბებისა, მინამ ისე გადაესხვაფერებინა.

მართალია ბატონიშვილი თეიმურაზ იმ აღა-მამად-ხანის მოსვ-
ლის ამბებში შიგ არ იყო, მაგრამ როგორ იქნებოდა ყველა ნამ-
დვილად არა სცოდნოდა, იმ ამბების დამწერსა და ნამეტნავად სამე-
ფოს სახლის შვილსა? – ეტყობა რომ თავის მიზეზების გამო იმ
აბმების ჩაჩქმალვა ნდომია: ეგება იმ ამბებისა არავინ არა შეიტყოს
რაო, ესეც რომ ჩვენიანებსაც ბევრი ძალიანი საგიებელი სიტყვები
მოხვდებოდათო და ამასაც მორიდებია და იმიტომ ისე სხუა რიგათ
გადაუცვლია, რომელიცა ყოველი ამ გვარი ამბები უთუოთ გულ-
ახდით სწორეთ უნდა დაიწეროს და დაუფერებით.

პირველი. თეიმურაზ ბატონიშვილის მამა ბატონიშვილი გიორ-
გი, ჩემიც ბიძა (შემდგომ მეფე) და ჩვენი სახლის აღმადგენელიც იყო.
თავის დაჲ დედა ჩემი, იმან შერთო მამაჩემსა, მაგრამ აბა ტყუი-
ლი როგორა ვთქუა? – ის რომ იმდროს სიღნაღში იყო და იმთე-
ნი შემოყრილი ჯარი, ხელგამომავალი ქართველები, ზოგიერთებმა
რომ დაითხოვეს: საჭირო აღარ არის, დაიფანტენით თქგენი სახ-
ლებისაკენაო, განა მძიმეთ მიაჩნდა ეს იმას, სწორეთ ვთჭუა, რად-
გან მამა იყო. მე მეფეს გიორგის არ ვამტყუნებ, მე იმათ ვამტ-
ყუნებ, ვინც იმას ატყუებდნენ, თითქმის იმას არა ჰკითხავდნენ.
გულწრფელი და სნეულიც იყო და იმის სახელით მოქმედებდნენ,
როგორც იმათ თვითონ უნდოდათ. იმათი სახელი აქვე იქნება.

მეორე. აბა იქ ბატონიშვილს გიორგისთან, ის ვინ იყო, მე-
ფის ირაკლისაგან ყურებ დასხეპილი ღალატისთვის? – აღა-მამად-
ხანის მოსვლის შემდგომ, ბატონიშვილს დავითს რომ შეხვდა, მი-

ვიდა იმასთან, წვერი დაუჭირა და მოთმინებით გამოსულმა უთხრა: განა ის მამა-ჩემი მოატყუე და საქართველო დააღუპინე? – ამ წვერში ასე ძაღლებმა გიყონო. წაჰკრა გულში და გაიარა, ის დავითიც საქმის გაუნხრეკელი. და უხედავი და მეტი გულაღელებულიც იყო, ისე რომ,

როდისაც გაჯავრდებოდა, ბრალიანსა და უბრალოს საქმესა ერთმანეთში აურევდა. იმ გულში წაკვრის შემდეგ რომ გაიარა, მასუკან კიდევ დადგა და თავის მამას მეფეს გიორგისა ცუდათ სსენება დაუწყო.

მესამე. ბატონიშვილი თეიმიმურაზ, იმ თავის დედის ძმისას, თ. რევაზ ენდრონიკაშვილის იმთენს ღალატობას რათა მალავს, როგორ ქვებუდანად ატყუებდა ბატონიშვილს გიორგისა მეფის ირაკლის წინააღმდეგობაზედ და სხუანი [1]), რომელიცა ბატონიშვილი დავით იმ თავის ბიძას რევაზს, ყოვლის საზიზღარის სიტყვებითა რყვნიდა, – თავის პაპის მეფის ირაკლის ღალატისთვის, რომელსაცა ჯერ ბატონიშვილს გიორგისა იმ რევაზის დაჲ ჰყვანდა ცოლათ და მასუკან იმ თ. გოგია (გიორგი) ციციშგილისა. ბატონიშვილმა დავითმა მომატებული სახელი დაარქვა იმას: ხათა გოგია. რადგან საქართველოს ბევრი ხათა (განსაცდელი) შეამთხვია, იმაზედ დაარქვა.

და მეოთხე. ბატონიშვილის თეიმურაზის ბიძა (ჩემიც), ბატონიშვილი იულონ, ქართლში რომ იჯდა და მთელს ქართლსა განაგებდა [2]) სამუხრანოდგან ქსანს გაღმა, მტკვრის გაღმა-გამოღმა, რატომ ათი ათასი მეომარი თავის მამას მეფეს ირაკლის არ გამოუგზავნა, ადვილათაც შეეძლო – იმაზედ რა ვთქვათ? – იქ იყვნენ იმ ქართლში ასეთი ღვთის მტრები, რთმ არამც თუ ჯარი, მთელი ქართლის ხალხი ეშმაკობით აჰყარეს და სიმაგრეს ტყეებში დაიხიზ-

---

[1]) მეფის ირაკლის მოსაშველებელი ჯარი იმ რევაზმა არ გამოაგზავნინა გიორგი ბატონიშვილსა: აღა-მამად-ხან ორასი ათასი კაცით მოდის საქართველოზე და ამბავი მამივიდა მეფე ირაკლიც აყრას აპირებსო, ჩვენც რომ ავიყარნეთ და სიმაგრეში დავიხიზნეთ კარგი იქნებაო. ამგვარების გაკეთებულებით ატყუებდა ყოველსაქმეებში, მისყიდული სომხებისგან. მეფის ირაკლისგან სამჯერ გაგზავნილი კაცი ბატონიშვილს გიორგისთან: საჩქაროთ ჯარები მომაშველე, აღა-მამად-ხანი დაგვიახლოვდაო, ის სამი არც ერთი არ მიუშვა რევაზმა, ბატონიშვილი გიორგი ენახათ, იმ მიზეზით რომ ბატონიშვილი ავათ ბძანდებაო. აქ ამ აღწერაშიაც წაიკითხება, თ. აბელ ენდრონიკაშვილი რომ გაგზავნა მეფე ირაკლიმ. ერთი სიტყვით, იქამდისინ იეშმაკა რევაზ ენდრონიკაშვილმა, რომ ბატონიშვილი გიორგიც აჰყარა სიღნაღიდან და ზევით კახეთში გაისტუმრა. ის რომ გაისტუმრა, თვითონ წამოვიდა მეფის ირაკლისაკენ იმის დასაღუპათ. ამ აღა-მამად-ხანის აღწერაშია, რაც ჰქნა იმან, და სხუა ამბებიც ბევრი არის იმის ღალატობა.

[2]) დიდი მშვიდობიანი კეთილი და უზომო მლოცავი იყო, რომელსაცა მომატებული ესენი ქვეყანასა ძალიან ავნებს.

ნენ. როგორც ბატონიშვილები ალმასხან (ვახტანგ), დავითი და ივა-

ნე ჩამოვიდნენ, კიდვ ივანე მუხრანბატონი და კვალად სხუები, რაც კაცები მოახერხეს იმითი, ისე ბატონიშვილი იულონ ჩამოვიდოდა, განა ის ვერ იშოვნიდა მხედრებს, მეფეს ირაკლისთან სისხლი დაეღვარათ მამულისათვის? – რა უნდა ექნა, დაუჯდომელს ვერ მოშორებოდა, ხელში ეჭირა ილოცამდა, ეს იყო იმის ხელობა, «მხნე იყავ და განძლიერდა», ეს კი დავიწყებული ჰქონდა.

საქართველოში სამა დაფარული დასი იყო წინააღმდეგი მეფის ირაკლისა: **პირველი დასი სომხებისა,** რომლებთანაც სომხების არაჩნურთს (მასუკან ორქივატერი, ეჩმიაწინის პატრიარხი) იოსებ არღუთიანს შეერთება ჰქონდა რუსეთიდგან. ამ სომხების დასმა ყოველი საქართველოს ამბავი კარგად იცოდა და სამეფოს სახლისა, რომელთაცა ყველგან ჩუმი აგენტები ჰყვანდათ; თვითონ ხომ თავისით საქმობდნენ და იმ მეფის ირაკლის უკმაყოფილო დასსაც ძალიან ხელს უმართავდა, მეფის ირაკლის დაღუპვაში (ის უკმაერფილო. დასი > მესამე დასად არის სსენებული). მაგრამ უფრო სწორეს გარკვევისთვის, ჯერ ეს უნდა ვსთქვათ, რომ როდისაც მეფე ვახტანგს და ბატონიშვილი ბაქარ (მეფის ვახტანგის შვილი.) რუსეთში გარდაიცვალნენ, მას უკან იმათ მოადგილედ არაჩნურთი იოსებ არღუთიანი იყო საქართველოს დასაღუპად და დაღუპა იმან იმ ზოგიერთის სომხებითა, საფუძვლამდინ.

მეორე დასი იყო. თ. გარსევან ჭავჭავაძისა მეფის ირაკლისაგან ამაღლებული ყოვლისფრითა, რომელიცა დიდად ცდილობდა საიდუმლოთ, რომ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომი ყოფილიყო.

და მესამე დასი იყო უკმაყოფილო დასი მეფის ირაკლისა. ისინი საქართველოში და იმერეთში დადიოდნენ და მეფეს ირაკლის უმტერებდნენ ხალხსა – ეს ქსნის ერთვიანები. სხუეების სახელებიც ხომ ზევით გავიგონეთ და სარდალი თ. ივანე ორბელიანიც იყო გარეული თავის ბიძაშვილებითა, რომლებსაცა დიდი ერთობა ჰქონდათ იმ სომხებთან და ესენი ატყუებდნენ იმათ ყოველს თავის განძრახვებში – ის სომხები [3])

---

[3]) მინამ სარდალი თ. დავით ორბელიანი მოკვდებოდა, იმის სიცოცხლეში იმათ ვერა გაბედეს რა (ივანე შვილი იყო და ისინი ძმის წულები) და როდესაც გარდაიცვალა, მასუკან დაიწყეს იმათ მეფის ირაკლის მტრობა, იმ სომხების ჩაგონებით.

რა უნდა ექნა მეფეს ირაკლის, ვეღარავინ ვეღარ დაესაჯა, ღალატისთვის თვით ის ერისთავნი დასაჯა, იმის სახლის შვილები ოსმალოში გაიქცნენ, იქიდან ჯარი მოიყვანეს და ქართლში სოფლებს ხდენა დაუწყეს, სადაც ამის გამო მეფის ირაკლის წინააღმდეგებისაგან შეიქნა ლაპარაკი: გავიქცევით და გავიქცევითო. ზოგი ოსმალოსაკენ ამბობდა, ზოგი ლეკებისაკენ და ზოგი ყიზილბაშისაკენ, მაგრამ ამდროს მეფე ირაკლიმ თავის შვილი იულონ ჯარით გაგზაგნა ქართლისაკენ და ზედა-ველაზედ ის გაქცეული ქსნის ერისთვიანი ძალიან დაამარცხებინა, რომელმაცა ამან ცოტათ დააჩუმა

ის მეფეს ირაკლიზედ მოლაპარაკენი: გაგიქცევითო. მაგრამ მაინც მეფეს ირაკლისა ასე ღონე წართმეული ჰქონდა იმ თავის წისააღ-მდეგებისაგან, დიახ საიდუმლოს საქმობითა, იმ თავის უკანასკნელს დროებში, რომ ვეღარა შეეძლო რა, მაგთენი აღარა გასდიოდა რა თავის ქვეყანაში, რომელსაც იმთენის ომებისაგან აღარ მოაცალეს, საქართველოსათვის კარგი ეზრუნა რამე.

ძლიერს აღელგებულს ზღვაში მაგარი ჩინებული ხომალდი რომ იღუპებოდეს, სწორეთ ერეკლეს მდგომარეობა იმ ხომალდსა გვანდა: იღუპებოდა, მაგრამ მაინც კიდევ შეუპოვრად იბრძოდა თავის უკანასკნელს სულის ამოსვლამდის, თავის საქართველოს და თავის ქართველებისათვის.

ამ ამბების შემდგომ, რა კარგი მოუვიდოდა მეფეს ერეკლეს, ანუ ერთიან იმის ოჯახს და ბოლო დროს საქართველოს? – უეჭველია, რომ საქართველო ვერაფრით თავს ვერ შეიმაგრებდა, უნდა დამხობილიყო. მაგრამ ამთენი მოსეული საშინელება მაინც კიდევ ვერას უზამდნენ, ვერც ერეკლეს, ვერც იმის ოჯახს და ვერც საქა-რთველოსა, თუ ის ქალაქ ტფილისის ზოგიერთი სომხები არა ყოფილიყვნენ, რომლებსაცა – იმ მეფის ირაკლის წინააღმდეგებსა – თავათ ცეცხლი წაკიდებული ჰქონდათ მეფის ირაკლის სავნებლად და ისინი უფრო კიდევ უბერავდნენ და უფრო აძლიერებდნენ, სა-დაც ყოველი წინააღმდეგობა, ანუ გაძლიერებული მტრობა, იმათ-გან იყო, რომლებმაცა აღა-მამად-ხანიც იმ სომხებმა მოიყვანეს და საქართველოც იმათ დაღუპეს. აი ის სომხები: პირგელი მოქმედი არაჩნურთი არღუთიანი, ამის ძმისწული მიმბაში სოლომან, მისკარ-

ბაში იოსებ ბებუთაშვილი, ქალაქის მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, ამილახვარი ოსეფა ყორღანაშვილი, მდივანბეგი სულხან თუმანიშვი-ლი, ამის ძმა მანუჩარ და სულხანის შვილი შიოშ, იოსებ თუმანიშვი-ტიქა შაღბათაშვილები და კვალად არტემ არარაცკი, რომლისაცა ამის ამბავი ქვემოთ იქნება, და ამათი კუდები კიდევ ბევრი არის, რომლებიცა მუშაობდნენ ამათის დარიგებით, საქართველო და ქართველები ძირით ამოიღონ.

ბატონიშვილი თეიმურაზ, ისე სხუა რიგათ რომ სწერს აღა-მამად-ხანის ამბავსა, იქ სხვა მიზეზები არის და რაც მიზეზია, იმას თავის დროზედ აღვწერ, თუ ღმერთი სიცოცხლეს მომცემს, და სხვებსაცა ბევრსა, ეხლა კი არ შეიძლება.

1850-ს წელსა ქ. ტფილისს.

წინასიტყვაობა.

რამდენის მომსწრე პირებისაგან გამიგონია აღა-მამად-ხანის შემოსულა ქ. ტფილისში, რომელსაცა იმათგან შემიკრებია ეს ამბები და აქ აღმიწერია, მაგრამ ზოგიერთის მეფის ირაკლის წინააღმდეგე-

ბისაგან სულ სხუა რიგათ გამიგონია, რომ მეფის ირაკლის სწო-
რე და მართალი საქმე დაჰფარონ და იმის ღირსება მოსპონ. სხუა
ზოგიერთების მეფის ირაკლის წინააღმდეგებისაგან კიდევ უფრო
სხუა რიგად გამიგონია აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში,
ესე იგი იმისი ანბები სულ არაფრად მიაჩნდათ; იმაზე ავათ იტყოდ-
ნენ, მითამ არაფერი იყო, სულ არც ომი ყოფილიყოს ცარიელი
კინკლაობის მეტი: მეფე ირაკლი თავის ქართუწლებით გაიქცა, წა-
ვიდაო და ქ. ტფილისი გააოხრებინა უსვინიდისოთაო. დაიჯერებთ
ამას რომ მეფეს ირაკლის, იმისთანა კაცსა, რაც უნდა ცოტა ჯა-
რი ჰყოლოდა, აღა-მამად-ხანს დაერიდებოდა, ნამეტნავად თავის დე-
და ალაქის პირში? – აი მეფის ირაკლის მტრების ცრუენანი, რომელ-
თაც რომ უნდათ იმის დამდაბლება, მაგრამ სიმართლე არ დაიმალება.

მეორე ესეც უთქვამსთ: მითამ კრწანისს ყოფილიყოს ომი,
იმ მოკუნტულს პატარას ადგილს, ბაღებით სავსეში? – ძალიან კარ-

გი იქნებოდა ეს კრწანისი და ქ. ტფილისი გაემაგრებინა, მაშინ
აღა-მამად-ხან ვეღარას იქმოდა, მაგრამ მეფე ირაკლიმ თაგის პლანი-
სამებრ, სოღალუხის [4]) თავს ველში მტკვრის პირზედ მისცა ომი და
უკან დიდ მინდორში მოსწოლოდა ჯარი აღა-მამად-ხანისა, სადაც იმე-
რეთის თაგად-აზნაურობა ორის დღის ომში, გლეხ მეომარს გარდა,
ორასი მეტი თავად-აზნაური მოვიდა, დაჭრილები კიდევ სხუა იყო,
და ქართუწლები ხომ რასაკვირველია... აქ აღწერილობაში უფრო
გარკუწვით და ნათლად დაინახება სულ ერთიან ის ანბები.

თ. ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

1844-ს წელსა ქ. ტფილისში.

აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში (1795-სა წელსა სეკტემბრის 11-სა დღესა).

მინამ აღა-მამად–ხან მოვიდოდა, ოთხი თუ ხუთის წლის წი-
ნათა მეფე ირაკლი ქართლში მიბძანდებოდა ორი-ათასი რჩეული
ქართუწლის ცხენიანის ჯარითა, რომელსაცა ამდროს აღარავინ აღარ
ჰყუანდა მტერი. იმერეთი და ლეკები გაიერთ, ესე იგი ჭარ-ბე-
ლაქანი, ამიტომ რომ ბეგრის დევნით დაღალა ისინი და დიდა-
თაც ეცადა იმათ შერიგებას. თუმცა ცოტათ კიდევ კანტი-კუნტად
მოდიოდნენ, მაგრამ ძალიან სუსტათ. ოსმალოს და ყიზილბაშებს
კი არაფრათ აგდებდა. საქმე თავისი ძმები იმერლები და ლეკები
იყვნენ, რა კი ისინი გაიერთა, გამხიარულებული მიბრძანდებოდა
ქართლისაკენ ცოლ-შვილებით და დედაჩემიც იქ ხლებია თავის დედ-
მამას, მეფე დედოფალსა.

ტირიფონას მინდორში რომ გავიდნენ და იმ მშუენიერს დას-
ტას თვალი გადაავლო მ. ირაკლიმ, – სიამაყით ბძანა: ათი ათასი
ყიზილბაშის ან ოსმალოს ჯარი შემხვდეს, თუალს არ ავახამხამე-

ბინებ, ასე ჩქარა დავამარცხებ. ამას თანავე დასტას დადგმა უბძანა და

---

[4]) ეს კი მართალია, რომ უწინ იმ ხეობას კრწანის უძახდენ და ამის გამო კრწანისის ომათ უთქუამსთ აღა-მამად-ხანისა ომი და მეფის ირაკლისა, თორემ ომი სწორეთ იქ ყოფილა, სოღალუხის თავში, ვიწრო გზის შესავალის ველზე.

ყუწლანი წყობით დადგნენ, მოატანინა ჯოხზ ჩამოცმული ქუდი, მინდორში ნიშნათ დაასმევინა, ერთთს მხარეს თავის სახლეულობას აყურებინა, თვითონ იმათ გუწრდით მოუდგა და რჩეულთ მხედართ უბრძანა: აბა თოფი ესროლეთ და ტყვია მოახუწდრეთ მაგას, მაგრამ თუ თქუწნ დააცდენთ, მასუკან ჩემი რიგი იქნება და მე უეჭუწლად მოვახუწდრებო. «ყუეწლანი მიხვდნენ, რომ თვით მეფეს უნდოდა სროლა და ამისთვის გაუფთხილდნენ, არ მოვახუწდროთო.

ქუდზე კარგათ მოშორებით ერთი ქვის ნიშანი დასდეს; ცხენ გაჭენებული მხედარი იქ რომ მივიდოდა, იქიდგან უნდა შეეტყორცა თოფი, და თუ დაეცდინა, მას უგან რიგით ესროლათ, მაგრამ რავინ არ მოახეწდრა, მეფეს უთავაზეს.

მეფე ირაკლი თუმცა მოხუცებული იყო, მაგრამ არც თუალთ აკლდა, არც ყურთ სმენას, არც გონებას და არც ენას. თუმცა ყმაწვილკაცობის ღონე აღარ ჰქონდა, მაგრამ ჯარიანობას და მდევრობასა კარგათ სძლებდა და არავიზედ ნაკლებ შრომას არა სწევდა.

რჩეულთ მსედართ დასმულს ქუდს რომ ვერავინ მოახუწდრა, მეფემ დაიძახა: ახლა ჩემი რიგი არის. ამისთან ოქროთ დარახტული საუცხოვო წითელი ცხენი მოჰგვარეს; მოხუცებულმა და ტანთ მომცრო კაცმა ჴელი სტაცა უნაგირის ტახტას და მფრინუწლივით მოაფრინდა, უზანგში ფეხი არ გაყო. იმ ბედაურს ცხენზე რომ გენახათ მეფე, ამას იტყოდით: ოცდა და ათის წლის კაცი არისო, წვერსაც შავათ რომ შეიღებავდა, მოხუცებულობა სულ აღარ ეტყობოდაო.

მოედნის თავს რომ მიიყუანა ცხენი და თავს მოედნისას დადგა, მნახუწლი იტყოდა: დახატულსა ჰგავსო. როდისაც ცხენი გაიხტუნა და სრულებით გაიმართა, სწორედ ფრთებ მესხმული გუწგონაო. დანიშნულს ადგილს რომ მივიდა, ასე სწრაფათ მოიმარჯვა თოფი, რომ ყუწლანი გაოცდენ; ამასთანვე გავარდა თოფი და ტყჯამ შუა გახვრიტა ქუდი, რომელთაცა ყუწლამ შეწუხებით დაიძახესო:

– «ცოდო არის, რომ შენ საქართუწლოს მოუკვდე».

მასუკან ცხენი მოიბრუნა და ყუწლას სიამოვნით უთხრა:

– «მე მოხუცებულმა გაჯობეთ ყუწლას».

გორის ქალაქში განისუწნებდა და ეგრეთუწ სამეფოს საქმეს განაგებდა, რომელმაცა ერთს სადილზედ მხიარულებითა თქუა თავის ცოლშვილებში და მახლობლებში:

– «ძლივს ლეკებიც გაგვიერთდნენ და ახლა ღვთის მოწყალე-

ბით იმედი მაქვს, ყოუ<ლს საქართუ<ლოს საქმეს კარგათ მოვი-
ყუანო, ამიტომ რომ ახლა იმერეთი ქართლ-კახეთს რომ გაუერთ-
და, ერთი სამეფო საქართუ<ლო შეიქნა ესენი, ამით დიდათ გან-
ძლიერდება ეს ქუ<ყანა. მეორეც ეს ჭარ-ბელაქანიც ეხლა რომ გა-
გვიერთდა და ამას იქით ხომ ბედნიერებაში წავა ეს ჩუ<ნი მშო-
ბელი ქვეყანა, რომლებმაცა ამისთვისა ღმერთს მადლობა შევწიროთ
ყუ<ლამაო».

მაგრამ ქართუ<ლების დაფარულმა მტრებმა ეს ანბები რომ
შეიტყეს, ამ ქვეყნების გაერთება, მაშინვე ღვთის გარეგნობის საქმეს
შეუდგნენ და აღა-მამად–ხან მოიყვანეს საქართუ<ლოზე. თუ შემ-
თხვევას ვიპოვნი, ვინც ესენი ქნა, უთუოთ იმათ საქმეებსა წვრი-
ლად აღვწერ.

გორის ქალაქში ამის გამძრახუ<ლი: ახლა საქართუ<ლოს სა-
ქმეს კარგათ მოვიყვანო, – სპარსეთიდგან ამბავი მოუვიდა: აღა-
მამად-ხანს გინძრახუა აქუს საქართ<ლოზედ წამოვიდეს დიდის
ჯარითაო.

ჯერ მეფეს ირაკლის არ იამა და თქუა. – «რა ვქნა, როგორ
დავაწყო საქართუ<ლოს საქმე, როდის უნდა მოვიცალო? – ამთენი
ხანი სისხლის ღვრა რით არ მაკმარა ჩემმა ბედმა, რომელიცა ეხლა
კიდევ უნდა შევცურდე სისხლში. ღმერთო! რასა ამბავია ამ ჩუ<ნ ქართუ<-
ლების თავზე ამდენი საშინელება, როგორ არ შაგვიბრალებ? – მას
უკან კარგა დაფიქრების შემდეგ: – «რახან აღარ იქნა, დეეხსენ, მოვი-
დეს ის ხოჯა აღა–მამად-ხან, ასეთს საქმეს უზამ, ვეღარც ერთი
იმათგანი ვერ გავიდეს საქართველოდგან».

მაგდენი ხანი გორს აღარ დადგა ქალ. ტფილისში ჩამოვიდა
და მზადებაში შევიდა, როგორის რიგით დახვდეს აღა-მამად-ხანსა.

ჯერ ეს უნდა ითქუას, აღა-მამად-ხან რათ მოდიოდა საქარ-
თველოზე? – პირუ<ლად აღა-მამად-ხანი მ. ირაკლისა მეგობრობდა
და ყოველთჯს ცდილობდა მ. ირაკლის დაახლოებას, მაგრამ როდი-

საც შეეტყო მ. ირაკლი რუსეთს დამეგობრებია, დიდათ სწყენოდა
და ამასთან თურმე აღარ მოასუ<ნეს მეფის ირაკლის წინააღმდე-
გებმა: წადი საქართუ<ლოზედ და მ. ირაკლი დასაჯეო. ამასთან ბევრს
ავს ამბავს ეუბნებოდენ მეფეს ირაკლიზედ [5]), რომელიცა ბევრის ავის
ლაპარაკით იძულებული იქმნა, მაშინუ< მზადებაში შევიდა, საქარ-
თუ<ლოზედ წამოვიდეს, მაგრამ ჯერ მაინც ელჩი გამოუგზავნა,
რომ ჴელი აიღოს რუსეთზე. ამდროს ახალი ჩამოსული იყო გო-
რიდგან ქ. ტფილისში. მიმდობი რუსეთის ერთ-მორწმუნეობისა და
იმის ძლიერებისა, ცივი პასუხი მისცა ელჩსა და უიმედოთ გაისტუმ-
რა, მაგრამ მაშინვე მეთუალეები დაადევნა ელჩსა და თვითონ მზა-
დებაში შევიდა, როგორის რიგით დახვდეს აღა–მამად-ხანსა.
ამ ამბავში გაგზავნილის მეთუალეებისაგან ამბავი მოუვიდა: აღა–
მამად–ხანს სხუა და სხუა საქმეები გაუჩნდა და მინამ არ შეასრუ-
ლებს, მანამდისინ აღარ აპირებს წამოსვლასაო. ეს ამბავი დიდათ

იამა, ამისთჳს რომ უფრო გულდადებით მოემზადებოდა. ამაობაში კარგა ხანი გავიდა და ბოლოს 1794-სა წელსა, ზაფხულის დროს, კიდევ ამბავი მოუვიდა: ახლა უთუოთ განძრახუა აქვს, წამოვიდეს აღა-მამად-ხანიო.

დაუყოვნად მეფე ირაკლიმ ბატონიშვილები, დიდრონი კაცები და პირუწლი თათრის აღალარები მოიწვია და იმათთან დაიწყო ეს სიტყუა: «ჩემო ძმანო ქართუწლებო! ჩუწნი გულოვანი ვაჟკაცობა, ჩუწნი მკლავის ძალი და ჩუწნი ხმალის მჭრელობა დიდი ხანი არის რომ სპარსელებს აღარ უნახამთ, ეტყობათ ეს იმათ დავიწყებიათ, ამისთჳსა ეხლა კიდევ ჴელი წაუყრიათ იმათ, და იმ ჩუწნს ახალს მტერსა, ხოჯა აღა-მამად-ხანს, რომელსაცა დაგროვილი სპარსელები მოჰყავს ჩუწნზე, ჩუწნს დასამონათ. დეე მოიყუანოს, ერთი კიდევ გვნახონ და უკანასკნელად დაიჯერონ იმათ, რომ კიდევ ის ქართუწლები ვყოფილვართ, ისევ ის უშიშარი, უძლეველები. მაშ ამის შედგომ ვინ რას იტყვით და რომელი რას რჩევას მოგვცემთ ამ თათბირში, როგორ დავხვდეთ იმათ ფუჭსა სიმძლავრესა – »

---

[5]) განჯის ხანი ხომ სწერდა წიგნებს აღა-მამად-ხანსა და აღელვებდა მეფეს ირაკლიზედ, მაგრამ იქაც იყვნენ იმის თანაშეჩენილი, რომ ისინიც აღელვებდენ.

აქ ივანე მუხრანის-ბატონმა დაიძახა: დავხვდეთ ჩუწნი ძუწლის მაგარისა გულით. ერთიანათ ხელაღელებულებმა: «დავხვდეთ, დავხვდეთ!»

მეფე ირაკლიმ – «მაშ ახლა: რჩევა ბძანეთ.»

ამაზედ ზოგმა რა თქუა და ზოგმა რა, მაგრამ სამისაგან რომ ითქუა, იმათმა აზრმა სხუწბის რჩევა დაჰფარა. აი ის სამნი ესენი არიან და იმათი აზრი ასე ითქვა.

პირველი აზრი სარდლისა თ. დავით ჯ.- ორბელიანისა, მაგრამ ამ რჩევის შემდგომ მაგთენი ხანი აღარ გავიდა, დამბლა მოუვიდა და იმ ამბებში იმერეთში გადიყუანეს მძიმე ავათტყოფი და აღარც გონება ჰქონდა რიგზედ. აი ის აზრი:

«ჩემო ხელმწიფევ, ჩემი რჩევა ეს გახლავთ: მთელი ყაზაგ-ბორჩალო და შამშადილის ხალხი თავის ცოლშვილებით თქუწნის ბძანებით ბირთვიზის სიმაგრეში შევიყუანო, იქიდგან ჯარებს გაუსევ და მინამ არეზიდგან გატეხილ ხიდთან ამოვა, რაც ცხენები ეყოლებათ ყიზილბაშებს, ან ჯორები და ან აქლემები, უფროსი ერთს დავატაცებინებ. გარდა ამისა სადაც სიმაგრე შემხვდება, თჳთ მე შევებმი და თქუწნის ბედნიერებით მალე დავამარცხებ და ჩქარაც დავაბრუნებ.» ამ უკანასკნელს სიტყვასთან მეფე ირაკლიმ თავის სიძეს სარდალს დავითს (მეფის ქალი ჰყუანდა ცოლათ თამარი) სიამოვნით შეხედა, მასუკან თავისთან გადიყუანა და სიყუარულით გულზედ მიიკრა. ეს აზრი ყუწლამ მოიწონეს, მაგრამ მერე ყაზახის ვექილმა ფანააღამ მოახსენა.

მეორე აზრი ფანააღასი:

«რაც სარდალმა დავითმს მოგახსენათ, დიახ კარგი აზრი გა-

ხლავთ, მაგრამ მეც ერთს აზრსა მოგახსენებთ და მასუკან რო-
გორც თქუფნი ნება იყოს, ისე ინებეთ: შამშადილში რომ შამოვა
აღა-მამად-ხან და ერთს ადგილს ჩამოხტება, იქ რაც შამშადილის,
ყაზახის და ბორჩალოს ჯოგებია, ფაშატი ცხენები, შევყრი და ერთს
გათენებისას სულ ერთიან ყიზილბაშის ურდოში დაურევ. მაშინ ნა-
ხავთ რომ ყიზილბაშის შესაჯდომი ულაყი ცხენები სულ ერთიან
დასწყუფტენ, ჭაკცხენებში გაერევიან და ყიზილბაშის ურდოს სულ
აურევენ, რომ ყიზილბაშის ჯარი ქუფვითი დარჩეს. ამასთან თქუფნ

თქუფნის ჯარებითა დაესხმით ყიზილბაშებს და ასე დავამარცხებთ
იმათ ჯარსა, რომ ნახევარი ძლივს წავიდეს».

ამ სიტეუასთანვე მეფემ და სხუფბმაც დიდათ მოუწონეს ეს
აზრიც. მეფემ კარგი ხალათიც უბოძა, მაგრამ შემდგომ მეფე ირაკლ-
მა თქუა:

– «ერთს აზრს მეც ვიტყჳ და შემდგომ, რომელიცა სჯობდეს,
იმას შევუდგეთ».

როგორღაც ეს დაწყობილობა ევროპიის დაწყობილობასა მიე-
გუანება, მაგრამ იმან ევროპიისა არა იცოდა-რა მხოლოდ ხმის მე-
ტი, რომ ხანდისხან პატრები იახლებოდნენ და ისინი უამბობდენ
ევროპის ამბებსა. ან ოდესმე ეგროპიის მოგზაური მოვიდოდა, ისი-
ნიც. იქნება როგორმე ცოტაოდნათ შეეწეოდა ის იმათი ამბები, მა-
გრამ უფრო უნამეტნავესი იმისი ეს იყო, რომ ომების ღენიის კა-
ცი იყო, რაც მაშინდელს დროს შეეფერებოდა და მასუკან იმდენის
წლებისა, იმთენს უანგარიშოს ომებში გამოცდილი, ის ყოველს
საშინელებაში უშიშარი, რომლებმაცა იმთენმა აუარებელმა გამარჯუფ-
ბამა გაალაღეს მტრებზედ.

მესამე აზრი მეფის ირაკლისა:

«მე მინდა აღა-მამად-ხან და იმის ჯარი ისე წავახდინო, რომ
საქართუფლოდგან ერთი მოანბე ყიზილბაში ვეღარ გავიდეს, მას-
უკან რაც მინდა, სპარსეთს იმას ვაქნევინებ. მე აღა-მამად-ხანს არ-
სად არ შევებმი, მოვიყუან სოღალუხს, იქით მინდორში ჩამოვახდენ
მტკუარის მახლობლად. ამ დროს მეც სოღალუხიდგან მცირეს ჯარს
დავანახუფბ, მითამ იმაზე მეტი ჯარი არა მყავს, რომ აღა-მამად-
ხანის ჯარი უფრო გათამამდნენ, მაგრამ ოთხმოცი ათასზე მეტი
ჯარი, ამ ქალაქის მოახლოვოდ ანუ ამის გარშემო მეყოლება და-
ფარულს ადგილებში, რომლებიცა ის ადგილები ესენი არიან, და ან
რა ერთიც ჯარები იქ იდგებიან, აი ეხლა გაიგონებთ: **ათიათასი**
ჩუფნი მეომარი სოღალუხის გაღმა ჭალაში იქნებიან დამალული,
ყარაიაზის მხარეს. **ათიათას** მეომარსა დიახ ჩუმათ მოვატარებ და
იალღუჯის ყელებში გავგზავნი, რომ დრომდისინ იქ იყვნენ დამა-
ლულნი. **ხუთიათას** მეომარსა გატეხილის ხიდისაკენ მალვით გა-
ვგზავნი, რომ ანასხლეტი ყიზილბაშის მეომარი იმათ არ გაუშონ.

ათიათას მეომარსა სოღალუხის ყელებში დავაყენებ პირისპირ ყიზილბაშისა და მე დანარჩენის ჯარითა და თვრამეტის ზარბაზნითა ტაბახმელის გზაზედ გადგივლი თელეთისაკენ და გათენებისას ყიზილბაშის ჯარზედ მივალ და თვრამეტს ზარბაზნებს ერთად დაუშენ მოუწყუწტელათ, რომ ჯერ ამით ზარი დაეცეს ყიზილბაშებს; **ოცდათას** ჩუწნ მეომარსაც შევატევებინებ და მე დანარჩენის ჯარით უკან შეუდგები. ამ დროს იქით იაღლუჯის ჯარი და აქეთი სოღალუხის ყელის ჯარი, სწორეთ ამ დროს გამოვლენ, და სამის მხრით გარს შემოვერტყმით ჟიზილბაშის ჯარსა, რომ არსაითკენ არა ჰქონდეს გზა, თუ არ მტკვრისაკენ. ყიზილბაშების გაქცეულსა ჯარსა მივყუწბით და მტკუარს მივაყენებთ. ამ დროს უეცრათ, ათიათასი ჩუწნი მეომარი გაღმიდან ცეცხლს მოუკიდებენ ყიზილბაშის ჯარსა და სამის მხრიდგანაც ჩუწნ მივაწუწბით. აქ მე დარწმუნებით ვიცი, აღა-მამად–ხანს ან ხელებ შეკრულს მოგვცემენ, ან თავის ჯარი მოჰკლავს და ან ჩუწნი ჯარი ჴელში ჩაიგდებს. ამასაც ვიტყვი, რომ ყიზილბაშის ჯარი თოფიარაღს დააწყობს და სულერთიან დაგვმორჩილდებიან [6]) ღვთით იმედი მაქუს, რომ უთოთ დაგვმორჩილდებიან. ახლა ამ სამს რჩევაში, რომელიც სამჯობინარო იყოს, თქუწნ გაარ–ჩიეთ“.

ყუწლამ ერთ პირად მეფის ირაკლის რჩევა მოიწონეს და დიდათაც გაიკვირუწს!

ამის სამაგიეროთ მეფის ირაკლის მტრებმა, ჩუმათ მითქუწს-მოთქუწს: მეფეს ირაკლისთან სხუა ლაპარაკი არა იყორა, რწყილებზე იყო ლაპარაკი რჩევის მაგიერათ და მეფეს ირაკლის კი სთვლემდაო. მაშინ როდესაც რომ ოც და ოთხს საათში, სამი საათი ეძინა, სხუა სულ საქმობდა. ამისთანა ჩუმი მტრები ჰყუანდა და კიდევ სხუას რაებს არ უგონებდნენ... რაღა უნდა ვსთქუათ, იმ გაუგებლებზე და იმ გამყიდუწლს ისკარიოტელებზე?

მეფის ირაკლის იმ აზრის შემდგომ დიდრონმა კაცებმა ჰკითხეს: ამთენს ჯარს რომ ბძანებს მეფე, საიდან შეიკრებს?

---

[6]) ადრიბეჟანის ხანებსა დიდათ ნდომიათ აღა-მამად-ხან დაიღუპოს და ამისათჳს საიდუმლოთ უგზავნიათ კაცი მეფის ირაკლისათჳს. გარდა ამისა, სხუა ბევრი პირობაც ჰქონიათ მეფეს ირაკლის და იმათ ერთმანეთში.

მეფემა თქუა: – «მე კიდეც მიცნობებია და **ოც და ხუთი** ათასი ლეკის ჯარი მოდის ჩუწნს შესაწევნელად და მეორედ კაცს რომ გაუგზავნი მაშინვე წამოვლენ [7]). კახეთიდგან და ქიზიყიდგან **თექვსმეტი** ათასი მეომრები მოვლენ. იმერეთიდგან **ათიათასი**, ქართლიდგან **ათიათასი**. არაგგიდგან და ჩერქეზიდგან **ათიათასი**, ამისთჳს ჩემი შვილი ალმასხანისათჳსა (ნათლობის სახელი ვახტან) მიბძანებია ჩერქეზში წავიდეს და როდესაც ჩემი წიგნი მიუვიდეს, მაშინვე იმათი (ყაბართოდგან) ჯარით წამოვიდეს; გამოიაროს და არაგვის ჯარიც თან წამოიყუანოს. ყაზახ-ბორჩალოდგან და შამშა-

დილიდგანაც **ათიათასი** მეომარი მოვა. ესენი სულ კარგი ჯარი მოვა და კარგი ვაჟკაცი [8]). გარდა ამისა, რუსეთის ჴელმწიფესა ვთხოვ **ორიათას** რუსეთის მხედრობასა და ექვს ზარბაზანსა; ამაზე მეტი რუსეთის მხედრობა ჩემთჳს საჭირო არ არის, ესეც იმისთვის მინდა ჩუჷნი ჯარები იმათ რომ ნახუჷნ, უფრო თავს გამოიდებენ, თორემ არცკი ვაომებ მე იმათ. რა ვიფი, ორი ათას მხედრობას და ექვს ზარბა-ზანს როგორ არ გამოგვიგზავნის? – მე რუსეთის ერთგულებისა-თვის მთელი ოსმალო და ყიზილბაში დაუძინებელს მტრათ გადვი-კიდე: რუსეთს რათ დაუმეგობრდიო. და რუსეთის ჴელმწიფე ამ მცირედით არ შემეწევა? – მაშინ როდესაც რომ იმისი ძლიერი ჯარები ამ კავკასიის მთებს იქით ჩუჷნს მეზობლათ დგანან, ამი-სათჳს ამ მცირეს შემწეობით რუსეთს არა დააკლდება-რა და ჩუჷნ-თჳს კი დიდი შემწეობა იქნება. ამ ახლო ხანში ორს თავადს გაუ-გზავნი ღენერალ ღუდოვიჩსა (ღუდოვიჩი ამ დროს კავკაზიის ლი-ნიაზე მდგარა ჯარებით), ჴელმწიფესთან მიშუამდგომლოს; ორი ათასი მხედრობით და ექსი ზარბაზნით შეგუჷწიოს და უთუოდ

---

[7]) ჭარ-ბელაქნის და დაღისტნის პირველი კაცები წინათ მოსულან მეფეს ირა-კლისთან დიდის აღთქმით: ახლა კი გვიმსახურეთ, ჭკუაზედ მოვედითო. რაღა დროს იყო. რომ საქართუჷლო დააქციეს? – მაინც, რასაკვირველია, კარგი იყო. ამ უკანასკნე-ლის დროისათვის, მაგრამ ესეც აღარ მოახდინეს მტრებმა.

[8]) მაშინდელს დროში საქართუჷლოს ხალხნი სულ ჩინებული მეომრები იყვნენ, რადგან სულ ომში იყვნენ და ამის გამო ყუჷლას კარგი იარაღი ჰქონდათ. თათრის სამოურაო სოფლები კარგი ცხენიანი მეომრები გამოვიდოდნენ და ქარ-თუჷლები სამი წილიდგან ორი წილი ცხენიანი გამოვიდოდა და სხუა ქუჷვითი. ქიზიყიდგან და საგარეჯოს მხრიდგან სულერთიან ცხენიანი ჯარი გამოდიოდა. სა-ქართუჷლოს ამ ცხენიანს ხალხსა, ყველას საუცხოვო ცხენები ჰყუანდათ.

შეგუჷწევა კიდეც, ამისათჳსა რომ რუსეთის ჴელმწიფისაგან ვინც მოდის, დიდის დარწმუნებით მპირდებიან რუსეთის ხელმწიფის მაგიერათ: ბევრს კარგს მოელოდეთ ჩემგნითაო. ამიტომ მე დი-დი იმედი მაქს იმისაგან, რომელსაცა ახლა ამაების სამზადისა-თჳს მე კიდეც მიბძანებია, რომ ოთხსავ კუთხივ ფქვილი და ოთხ-ფეხი პირუტყვი მოვიდეს ამ ქალაქში ჩუჷნი ჯარების სა-ნუზლედ და იმათ გამოსაკვებად. ამთენს ჯარსა ერთი თვე შე-ვინახამ და მეტი საჭირო აღარ იქნება. როგორც მე ვიცი და ამ–ბავი მომდის, აღა-მამად-ხანი ჯარით მომავალს წელს წამოვა და აქ ან აგგისტოს გასულს შემოვა და ან სექტემბრის დაწყე-ბაში. ამისთჳს ასე უნდა მოვახდინოთ, რომ ჩუჷენი ჯარები აგვისტოს ოცში აქ შემოვიდნენ და აქ დაიბანაკონ ამ ქალაქის გა-რეშემო დრომდისინ, მინამ რომელს ჯარსა საით გავგზავნი. იმედი მაქუს, აღა-მამად-ხანსა ასე წავახდენთ, რომ იმისი მდიდარი ურდო სულ ერთიან ჴელში დაგვრჩეს, რომლიდგანაც ჩუჷნი ჯარი საშოვ–რითა აიმსება, ასე რომ ერთი ჩუჷნი ჯარის კაცი უშოვარი არ და-რჩეს.»

ვინც მეფის ირაკლისაგან ეს დაწყობილობა გაიგონა, ყუწლანი გულმოდგინედ კმაყოფილნი გამოვიდნენ იქიდგანა, მაგრამ ის კი აღარ იცოდნენ, რომ რავდენი მიწაზე მძრომი გუწლი დაცოცავდა მეფის ირაკლის და საქართუწლოს დასაგესლად, ასეთის გესლით, რომ საქართუწლო ვეღარ მორჩებოდა. არამც თუ კარზე დაცოცავდნენ, – თვით იქაც ისხდნენ, რჩევაში.

მოვიდა ის დრო და ახლა ის ამბავი მოუვიდა სპარსეთიდგან: ეხლა უთუოთ წამოსვლას აპირებს, მაგრამ ელჩს აწინაურებს თქუწნთან.»

ალა-მამად-ხანის ელჩიც მოვიდა და იმის მოსვლის მიზეზი კიდევ ეს იყო: – რუსეთის ერთგულებაზედ ჴელი აიღეო». რადგან ქართუწლები ერთმორწმუნენი იყვნენ რუსეთისა და ბევრს იმედიანობდენ იმისაგან, ამისთჳს ამ პასუხით გაისტუმრა ელჩი მეფემ:

– «არამც თუ მარტო აღა-მამად-ხან თავის ჯარითა – მთელი აზიის ჯარები რომ მოვიდნენ ჩუწნზე, მაშინაც ჴელს ვერ ამაღებინებენ რუსეთის ერთგულებაზედ». ამასთან ყოვლის მხრიდან დიდი

იმედიანობის ამბები მოუვიდა ჯარებისა, მაგრამ არსაიდგან არ გაუჩნდა; ყველგან უსულო კუდიანები იყვნენ ჩამდგარნი.

ქიზიყიდგან შეყრილი ჯარი ცხრა ათასი მეტი სიღნახის ბოლოდგან დაშალეს. ფშავ-ხევსურეთისა, თუშეთისა და კახეთის ჯარი არც კი მოკრიფეს [9]). იმერეთიდგან თვით მეფე სოლომონ მოვიდა (მეფის ირაკლის ქალის ელენეს შვილი) მოწინავეთ და სამი ათასი მეომარი მოჰყუა, მაგრამ დანარჩენი შვიდი ათასი კი აღარ მოუვიდა, იქაც ჰყუანდნენ მეფეს ირაკლის მტრები. ათიათასი ქართლის ჯარის მოკრეფაც მოშალეს. ჩერქეზის მხრიდგან რომ ბრძანა, აღარც ის მოახდინეს. ათი ათასი ყაზახ-ბორჩალოსი და შამშადილის ჯარებიც აღარ მოკრიფეს. კავკასიის ლინიის ღენერალ ღუდოვიჩიდგანაც გადაუწყდა იმედი.

ამ საკვირუწლის აზრის (პლანის) გამგონი და უეჭუწლად მოიმედე, რომ აღსრულებაში მოვიდოდა, დარჩა მეფე ირაკლი ოთხი ათასის თავისის საკუთარის მეომრებითა, სამის ათასის იმერეთის ჯარითა და პატარა მეფე სოლომონ იმათში.

მოიმედე მეფე ირაკლი, რომ ოცს აგვისტოს სულ ერთიანად ჩუწნი ჯარები ქ. ტფილისში უნდა შეიყარნენო, 23-ი აგვისტოც მოვიდა, არავინ იყო ქალაქში. მეფე წყენას მიეცა და ოთხსავ კუ-

---

[9]) მეფე ირაკლის თავის მიმბაში თ. აბელ ენდრონიკაშვილი უკანასკნელად კიდევ რომ გაუგზავნია სიღნაღში: კახეთ ქიზიყისა და ლეკების ჯარი საჩქაროთ გამამიგზავნეთო, იმ მოხუცებულის მიმბაშ ენდრონიკაშვილისაგან გამიგონია, რომ აღარც მე გამამიშუწსო და რაც ჯარები იყო შეყრილი, ისიც დაშალეს, არამც თუ სხუწბი მოეკრიფათო. ამ სიტყვაზედ მე ვკითხე:

– წიგნი გქონდათ ბატონისშვილს გიორგისთან მეფის ირაკლისგან, თუ არა? – “

– როგორ არა მქონდა, მაგრამ ბატონიშვილი გიორგი შეუძლოთ იყო, ვე-

რა ვნახე და რევაზ მოურავმა (მაშინ ეს ენდრონიკაშვილი მოურავი აღარ იყო, ისე ჩვეულებისამებ უძახდნენ ხოლმე, ეს ქართუწლების ჩუწულობა იყო) გამამარ–თო: „მე მივართმევ, შეუძლოთ არისო.“ (ამის დაჲ ბატონიშვილის გიორგის ცოლი იმ დროს მკვდარი იყო.).

– მაშ იმ წიგნის პასუხი არა შეგატყობინესთ-რა?“

– ვერაფერი ვერა გავიგე–რა. ბოლოს რევაზ მოურავმა მითხრა: ბატონიშვილმა გიორგიმ გიბრძანაო, შენს სახლში წადი, იქ იყავ, ნურსად წახვალო, და წავედი, რომელმაც ამის შემდგომ გავიგონე: „რევაზ მოურავი თავის რამდენისამე კაცით ჯარში მეფე ირაკლისთან წავიდაო.“ ბოლოდროსა იმის ამბავს წაიკითხამთ, იმის ეშმაკობას.

22

თხივ მსრბოლელები გაგზაგნა, მაგრამ ყუწლგან ეშმაკები იყვნენ დამკვიდრებულები და ეშმაკურის ცბიერებით მოიშორეს. ამის პასუხები მოუვიდა მეფეს, ზოგი აგვისტოს გასულს, ზოგი სექტემბრის დამდეგს, რომ უთუოდ ამ ორს-სამს დღეზედ მოვლენ ჯარებიო. ამის იმედით წავიდა წინ თავის ოთხი ათასისა კაცით და მეფე სოლომონიც სამი ათასისა იმერლებითა.

როდესაც მეფე ირაკლი ყაზახში ჩავიდა ამ მცირედის ჯარით, ესე იგი შვიდი ათასის მეომრებითა, აქ მესამე ელჩი მოუვიდა აღა-მამად-ხანისაგან: – «ეს არის არეზში გამოველ და კიდეგ ელჩი გამოვგზავნე და მეც თან მოგდევ ელჩსაო. კარგი მეფე ხარ და შენი წახდენა არ მინდა, ოღონდ ის ჩემი სურვილი აღმისრულე და ამის დასარწმუნებლად ერთ-ერთი შენი შვილი და მეორე, ერთი შენი შვილიშვილი გამამიგზავნე მძევლად; მაშინვე გავტრიალდები და წავალ.» მაინც არ იქმნა, არ შეურიგდა, ამიტომ რომ ერთ-მორწმუნეობისაგამო. პატიოსანი პირობა დაედო მეფე ირაკლის, რომ რუსეთის ერთგული იყოს და ესეც რომ იმის ძლიერებისაც დიდი იმედი ჰქონდა. ამისთჳს აღა-მამად-ხანის ელჩი მაშინვე დააჭერინა და ქ. ტფილისში გამოისტუმრა, ქალაქ ტფილისის მელიქთან, თ. დარჩიას ბებუთაშვილთან, რომელიცა იმის დაჭერის მიზეზი ეს იყო: ჩუწნი ამბავი არა გაიტანოს-რაო. ეს ამბავი ქვემოთ უფრო იქნება, როგორ იყო?

ის რომ ქალაქში გამოგზავნა, თჳთონ ჯარით წაუდგა აღა-მამად-ხანსა, რომელმაცა ომი არსად არ დაუწეო, შორი-ახლოს მოიდევნა, მოიყუანა და მართლა რომ სოღალუხის მინდორში ჩამოხტნენ, მტკუარის მოახლოვოდ, ორმოცი ათასი მეტი ყიზილბაში, რომელსაცა მაინც კიდევ ეგონა მეფე ირაკლის: ქ. ტფილისში დიდრონი ჯარები დამხვდებაო. მაგრამ არსაიდგანა არა იყო-რა, არამც თუ ჯარი – ერთი მასროლიც არა. აქ კი ეჭვში შევიდა: უეჭველად ღალატია, მაგრამ ვის ღალატობენ, მე თუ მამულსა? – თუ ჩემთანა აქვსთ მიზეზი რამე, მამულს რაღას ემართლებიან?» მწუხარებითა თქუა.

მეფე ირაკლი ყაზახისკენ რომ წავიდა ჯარით, აქ ქ. ტფილისში სხუა ამბავი მოხდა. პარასკევს დილა-ადრიან ქალაქში ხმა დააგდეს: – «მეფე ირაკლი და მეფე სოლომან თავიანთის ჯარებით

სულ ერთიან წაუხდენია აღა-მამად-ხანსა, ასე რომ ჟიზილბაშის ჯარი გარს შემოხვევია ქართუზლებსა და იმერლებსა და ერთიან დაუღუპამსო». თუმცა ამას არავინ იჯერებდა, მაგრამ ფიცით არწმუნებდნენ.

ამაზედ ალიაჩოჩქოლი შეიქნა ქალაქში და პირუზლი მოქალაქები დარეჯან დედოფალთან შეიყარნენ, სადაც ამ დროს ანტონ ქათალიკოზიც იქ იდგა თავის დედას დედოფალთან და ქალაქის აყრას სთხოვდა. დედოფალმა ტირალი დაიწყო და ანტონ ქათალიკოზმა არ დაიჯერა: თუ ეგ მართალი იყოს, ამბავი მოგვივიდოდაო.

მოქალაქეებმა მოახსენეს: – «როგორ არა, კაცები გიახლნენ, იმათ მოგახსენეს.»

– სად არიან ის კაცები? – ქათალიკოზმა ჰკითხა.

– «საჩქაროთ შემოაჭენეს ცხენები, ეს გვითხრეს და მაშინვე გაეშურნენ კახეთისკენ».

– ვინ იყვნენ ისინი?

– «იმ ჩუზნი ჯარიდგან გამოქცეული კაცები იყვნენ.»

– იმათ ვერ იცნობთ თქუზნ?

– «რა მოგახსენოთ, გლეხ-კაცებს გვანდნენ. არ ვიცით, ვინ იყვნენ.»

– რავქნა, რაღაც ტყუილი უნდა იყოს.

– «შენი ჭირიმე ბატონო, მაინც აყრა სჯობია. თუ გამტყუნდება, ისევ ჩქარა დავბრუნდებით, რა ძნელია.»

თურმე ის კაცები რევაზ ენდრონიკაშვილისაგან იყო ჯარიდგან გამოგზავნილი. იმან კიდევ რა ქნა, შემდგომებში წაიკითსავთ.

ბოლოს დედოფალი ტირილისაგან რომ დასცხრა, გადაწყუზტით უთხრა:

– «თქუზნ ყუზლას ნება გაქვთ, საითკენაც გინდათ, იქით წადით, მაგრამ მე ვერსად ვერ წავალ. ვინც ჩემი ქმარი დაღუპა, ჩემი შგილიშვილი სოლომან და ჩუზნი ჯარი, მეც იმის ხელით დავიღუპებიო.»

ამ სიტევაზედ მოქალაქეები დიდათ შეწუხდნენ, მაგრამ სიცოცხლე ძვირფასი იყო ყუზელასათვის; ამისთვის თავიანთი სახლები ისე დაყარეს, როგორც იყო და იმ პარასკევს დილაზედვე თითქმის

ნახევარ ქალაქი აიყარა და ნახევარ ქალაქიც მეორეს დილაზედ აპირებდა აყრას, რადგან მაინც მოელოდნენ ამბავს რასმე: სწორეთ შავიტყოთ, იქნება ტყუილი იყოსო. მაგრამ ზოგიერთი პირუზლი მოქალაქეები, ვინც ქალაქში დარჩნენ და ჯერ არ იყვნენ აყრილი, იმ ღამეს მაინც კიდევ იახლენ დედოფალსა და ანტონი ქათალიკოზსა და დიდის ვედრებით სთხოვეს: მთელი ქალაქი აიყრება და თქუზნ მარტო რა უნდა იყოთ აქა? [10])

ამდროს ანტონი ქათალიკოზმა მოახსენა დედოფალსა:

– «ჩემო ჭელმწიფე, დედავ, მართალს მოგახსენებენ ესენი. თუ მარტო თქუჷნის აქ ყოფნით ეშუჷლება რამე ამ ქალაქსა, ჩუჷნი უკანასკნელი სისხლი, ვინც აქ გახლავართ, თქუჷნი ჭირის სანაცვლო იყოს, მაგრამ აბა რა ვქნათ, ძალა ჩუჷნ არა გუაქვს და ჯარი ჩუჷნ არა გვყავს? ამისთჳს სამჯობინაროა ავიყარნეთ, მთიულეთში გადვიდეთ, იქ ჯარები შევიყაროთ და ყიზილბაშებზე მოვიდეთ, ჯერ აღა-მამად-ხან აქედგან არ აიყრება და მანამდისინ ჩუჷნს საქმეს მოვვარგებთ».

ეს რჩევა ყუჷლამ მოიწონეს და მაშინვე აყრის თადარიგში შევიდნენ და ქალაქიც მოემზადა ასაყრელად [11]), მაგრამ მაგდენი ხახი აღარ გამოვიდა, რომ მეფის ირაკლის კაცი მოვიდა ჯარიდგან და მშვიდობის ამბავი მოიტანა, სადაც შეიქნა დიდი სიხარული და დიდი იმედიც მიეცათ ქალაქელებს და მოღალატეებს გმობა დაუწყეს. ის კაცები ბევრი აძებნინა ანტონი ქათალიკოზმა, რომელთაცა ეს ამბავი შემოიტანეს: მეფე ირაკლი ჯარით დაღუპულაო, მაგრამ ვერა გაიგეს-რა. ანტონი ქათალიკოზი განცვიფრებას მიეცა: რა უნდა იყოს, რა ანბავიაო? – სხუანიც ყუჷლანი გაკვირვებით იკითხამდნენ. მაგრამ ვინ რა იცოდა, ვის რა უნდა ეთქუა. ამის გამო ნახევარი ქალაქის ხალხი ცოლშვილებით და დედოფალიც ისევ ქალაქში დარჩნენ, რა-

---

[10]) ბეჟანა ბასტამაშვილიც იმ დროს იქ ყოფილა, პირუჷლათ რომ მოქალაქეები მივინდნე და აქაც მეორეთაც. იმისაგან გამიგონია და სხუაც ბევრი.

[11]) სხუათა შორის ბატონიშვილი დედა ჩემი ამასაც ამბობდა: ასეთი საშიში ხმები შემოგვიგდეს და უკანასკნელად ესეც: „ეხლავ და საჩქაროდ აიყარენით, რომ სოღალუხის მინდორში მოსულა აღა-მამად-ხანიო“. ღალატი ხომ ღალატი, ის მეფის სიმდიდრით გატენილი სასახლეც ჭელში უნდა დარჩენოდათ მტრებსა.

დგან მეფის ირაკლის დიდი იმედი ჰქონდათ, ნამეტნავად იმ ჭორის შემდგომ.

მეორე დღეს, შაფათს შუადღისას, მეფე ირაკლი მოვიდა თავოს მცირედის ჯარით სოღალუხის ვიწროებში, კიდევ მოიმედე: ქალაქში რომ მივალ, დიდრონი ჯარები დამხვდებაო. მაგრამ ნაცვლად ჯარებისა ნახევარ ქალაქის აყრა უანბეს. ერთი-ერთმანეთზედ უბედურება უბედურობას მოჰყვა. აი როგორი უბედურება:

ქიზიყის მოურავს ზაქარია [12]) ენდრონიკაშვილს არჩეული ორი ათასი საენდრონიკეო თავადნი და გამრჩენილი ქიზიყის მეომრები ახლდნენ თანა. (მაშინ კახეთის მართუჷლად იჯდა ბატონიშვილი გიორგი, შემდგომ მეფე). იმ შაფათს ღამეს რევაზ ენარონიკაშვილმა თავის მხრის თავადები [13]) დაიბარა დიახ საიდუმლოთ და დიდის დაფიცებით შეთქმა მოახდინა მეფის ირაკლის საწინააღმდეგოთ, რომ ჩუჷნ აღა-მამად-ხანის ომი არ შეგვიძლიან; ისევ სჯობია ჩუჷნს ბატონიშვილს გიორგის ვიახლოთ სიღნაღში და ჩუჷნს ცოლშვილს გავუფთხილდეთ, თორემ ყიზილბაშები მტკვარში გავლენ და ჩუჷნს მხარეს სულერთიან წაახდენენო. ბევრის ამგუარის ლაპარაკით მიიბირა მეფის ირაკლის გულშეწირული ერთ-

გულები, ის ორი ათასი პირუწლი გაჟვაცნი და იმ ღამესგე დიახ ჩუმათ გაეპარნენ თავის საყუარელს მეფეს; იმისთანა კარგი ვაჟკაცი ნინია ენდრონიკაშვილიც იმათში და სოღალუხის მტკვრის ფონში გავიდნენ [14]), გაღმა შამშადილის ცხუარი მთის ტყისაკენ მიდიოდა სამი ფარა, რომელნიცა დაიტაცეს და ქიზიყში გადარეკეს.

ადრიდგანვე რევაზ ენდრონიკაშვილი ქიზიყის მოურავი იყო და ბატონიშვილის გიორგის პირუწლის ცოლის ძმა. მეფე ირაკ-

---

[12]) მეფის ირაკლის ქალი ელენე ჰყუანდა ცოლათ, ნაქვრივარი, სოლომან მეფის დედა, არჩილ ბატონიშვილის ნაცოლარი.

[13]) სხუწბისაგანაც გამიგონია ეს ამბავი და თავადმა ნინია ზაალის ძემ ენ-დრონიკაშვილმაც მიამბო 1824-სა წელსა ს. ქოდალას ჩემის ნათესავის, თამაზ ენ-დრონიკაშვილის ქორწილში. იმდენს იმ ამბებში ის ნინიაც დასწრებია. თუმცა მი-ამბობდა, მაგრამ აქეთ-იქით იხედებოდა: არავინ გაიგონოსო. ეს ნინია ჩემი ნათე-სავიც იყო.

[14]) ზოგს უთქუამსთ: ქ. ტფილისი შემოიარესო, მტკვრის ხიდზე გავიდნენ და კახეთისკენ გასწიესო. მაგრამ არა, სწორეთ სოღალუხის მტკვრის ფონში გავი-დნენ.

ლიმ იმას მოურაობა ჩამოართო, ორგულობის [15]) შენიშნისთჳს და თავის სიძეს ზაქარია ენდრონიკაშვილს მისცა ქიზიყის მოურაობა, რომელსაცა იმ ორი ათასის ჯარის კაციდგან აღარც ერთი მეო-მარი აღარ დარჩა თავის მახლობლებისა და საკუთარის მოსამსა-ხურეების მეტი, ასე ოცამდისინ. მეორე დილაზედ ეს ამაბავი მეფეს მოახსენეს და იმათი გაპარვა უანბეს. თუმცა დიდათ ეწეინა, მაგ-რამ მაინც არ შეშინდა და თავის გუარათ გამაგრებული იყო [16]).

მეფე ირაკლიმ ის ხუთი ათასი ჯარი ასე გაყო. ორი ათასი ქართუწლი და ორი ათასი იმერელი მეფის სოლომანით თავისთან დაიჭირა და დანარჩენი ათასი იმერეთის ჯარი ზარბაზნებთან გა-მოისტუმრა ქალაქის მოახლოვოდ, დამოჟნა რომ არის, იმის ცოტა მოშორებით, ხევის სიახლოვეს.

ვის უნახამს სოღანლუხის ახლო დასავლეთისაკენ, მტკვრის მა-ხლობლად პატარა მინდორი, სამხრეთიდგან დიდი მთა რომ ად-გას? – სწორეთ იქ დადგა მეფე ირაკლი, იმ ოთხი ათასის ჯარით, სადაც კვირა დილაზედ მოვიდა აღა-მამად-ხანის რამთენიმე რაზმი და პატარა მინდორზე მოხდა ომი. ქართუწლ-იმერლები ოთხი ათა-სი და სპარსნი იმდენი [17]).

პირუწლ სპარსნი დათამამდნენ ცოტა ქართუწლ-იმურლებზე და გულ-მოდგინედ წამოვიდნენ, ასე ეგონათ ეს ესარის ჩავყლაპამ-

---

[15]) სხუაგან წვრილათ დავწერ მიზეზს, ვინც ჩამოართმევინა.

[16]) ეს ადრითვე ვერა ვთქვი და სულ ერთია აქ ვიტყვი: ყარაბაღის ხანს იბრეიმ-ხანსა დიდი პიროობა და ერთობა ჰქონდა მეფე ირაკლისთან და ამისთჳს შუშის ციხე გაამაგრა და აღა-მამად-ხანს თავი არ დაუკრა, აღა-მამად-ხანის მეო-რეთ მოსვლაზედ კი აიყარა და ჭარში გავიდა.

[17]) აღა-მამად-ხანს თავისი დიდი ურდო აღსტაფაზედ დაეგდო და თჳთონ

სუბათ წამოსულიყო ამთენის ჯარით, რაერთიც ითქუა აქა. გარდა ამისა, ვიღამაცა თქუა: მითამ აღა-მამად-ხანი შავნაბადაზე ასულიყოს და ზედ მთაზედ კარავი დაედგას და იქიდგან ეჩხრიკოს ომის საქმე. ტყუილია. ომის წინადღესა, აღა-მამად-ხან შავნაბადაზედ ავიდა, ქალაქისაკენ გადასახედავათ და როგორღაც მოხდა, რომ ალთაფით ერთის ჯაგისაკენ მიეფარა ცხენიდგან გადამხტარი. ამ დილით გათენებისას, ქალაქიდგან ოც და ხუთი ბიჭი დაიარაღებული გამოვიდნენ და შავნაბადის მთაზედ ხეტება დაიწყეს: ეგება ყიზილბაში შეგვხვდეს, დავიჭიროთო. ამ დროს უეცრათ ზედ წაადგნენ აღა-მამად-ხანსა, რომელთაცა მაშინვე თოფები დაუშინეს. აღა-მამად საჩქაროთ წამოხტა, ალთაფა აიფარა და ისე გაიქცა. ამ თოფების ჴმაზედ და ამ ამბავში ზევიდგან ყიზილბაშები მოეშველნენ, ზოგი დახოცეს და ზოგი წაიყუანეს. აღა-მამად-ხანს ასე შეეშინდა, მაშინვე ქუზმოთ ჩამოვიდა და ვეღარც ჯარის კაცები დააყენა იქა, იქიდგან ეთუალიერებინათ ქალაქის მხარე.

თო, მაგრამ ქართუზლ-იმერლები არ აჩქარდნენ და მეფე ირაკლიმაც ეს სიტყვა უბრძანა:

– ჩემო საყუარელო შვილებო, მხნენო ქართუზლ-იმერლებო! როგორიც თქუზნის ვაჟკაცობისაგან ვიცოდე, ისეთი ვაჟვაცობა აჩუზნეთ ჟიზილბაშებს; რომ მაგათ თავის დღეში ჩუზნკენ ვეღარ გაიწაწანონ. ამასთან ამასაც გეტყჳთ, რომ მინამ არ გაგიჭირდებათ, მე არ მოგეშუზლებით და ახლა თქვენ იცით და თჰუზნმა ვაჟკაცობამ!»

მეფე ირაკლიმ, იმ დილის მოადრევოთ, ის ოთხი ათას მხედრობა ასე დააყენა, იმ ვიწროს გზის სიმაგრისა მახლობლად, რომელსაცა პირუზლს ათასსა ერთსელ უნდა ეომა, მეორე ათასსა შემდგომ, მესამე ათასსა მასუკან, და მეოთხე ათასი კი გაჭირებისთჳს შეინახა; თჳთონ და მეფე სოლომანიც იმათში ჩადგნენ, რომლებიცა ხუთას-ხუთასი ქართუზლ-იმერლები ერთად იდგნენ, ოთხ დასტად, ერთიერთმანეთის მხარის მიმცემნი.

სადაც ომი იყო, იმ ადგილის მდებიარობას მაგთენი სივრცე არა აქუს, მაგრამ მაინც ოთხი ათასი ცხენიანი მეომარი გაიმართებ–ბა, ანუ მეტნაკლები, მტკუარის პირიდგან კლდემდისინ, მახლობლად ვიწროს სიმაგრისა.

ეს ჩუზნი ჯარი ასე წყობით იდგნენ ვიწროს სიმაგრისა ზურგ მიბჯენილი და შემოტეულს ყიზილბაშებს უყურებდნენ განსუზნებულის გულითა, რომელნიცა მინამ ახლო არ მოვიდნენ, ხმა არ გასცეს და როდისაც დაახლოვდნენ, ერთიანათ წააყარეს თოფის ტყვია და თჳთონაც ხმლებ-გასმულნი დაერივნენ ყიზილბაშის ჯარში და ასე გააქციეს, ვინ წინა და ვინ უკან. წაიყუანეს გაქცეულები და გზის ჩამოსასვლელი გორა რომ არის, იმაზედ მიყარეს. ეს პირუზლი ათასი ქართუზლ-იმერლები გამოტრიალდნენ და ფეხ-აკრეფით თავის ადგილს მოვიდნენ. ვისაც უთქუამს, რომ მითამ აღა-მამად-ხანს ზარბაზნები ჰქონოდეს, არა, ტყუილია, ზამბურაკები კი ბევრი ჰქონდა.

ყიზილბაშებმა ამისთანა გაჟვაცობა რომ ნახეს ქართუზლ-იმერლებისა, შემოტევება ვეღარ იკადრეს, გამოვიდნენ, ზაბურაკებისა და

თოფისა სროლა აუტესეს ქართუზლ-იმერლებსა. თუმცა მეფეს ირა-

კლის ზამბურაკები არა ჰქონდა, მაგრამ თოფის სროლა ქართუზლ-
იმერლებისა ნაქები იყო. მაშინდელს დროს, რომელთაცა ამაშიაც
აჯობეს და ამითიც შეარცხვინეს. ამაობაში აღა-მამად-ხან მოვიდა
და ჩამოსასვლელს გზის გორაზე გადმოდგა. ქართუზლ-იმერლებს
რომ შემოხედა, თუალში იფუქსავატა და სიცილით დაიძახა: – «ეს
საწყლები არიან ჩუზნი მეომრები»? ერთმა დიდმა კატმა მოახსენა: –
«ესესი გახლავან». და სხუა კი აღარაფერი.

აღა-მამად-ხანმა ახალს რაზმებს უბრძანა შეტევება და მასუკან
იმ ხანს უთხრა თავ-მოწონებით: – «იმ საცოდავებს, სულ მტკვარ-
ში გადაჰყრიან».

მეფე ირაკლიმ იმ პირუზლს ათას ცოტა უკან დაწევა უთხ-
რა და ჯგუფათ დადგომა. ასი მეომარი კიდევ მიაშუზლა იმ ათასსა
ამ სიტყვით: – «ქართუზლებო და იმერლებო! აღა-მამად-ხან გორაზე
გადმოდგა და ჩანს, რომ თავის თუალ წინა უნდა დაგუაჭერინოს.
აბა როგორიც თქუზნის გულადობისაგან ვიცოდე, ისეთი ვაჟკაცო-
ბა აჩუზნეთ აღა-მამად-ხანსა».

აღა-მამად-ხანის თუალ წინ დათამამებული ახალი დასტები
წამოვიდნენ; ეგონათ, ცოცხლებს დავიჭერთო, მაგრამ მინამ კიდევ
ახლოს არ მოუშუზს, არ ესროლეს თოფი და როცა დაახლოვდნენ,
ერთიანათ წააყარეს ტყჯა, ამასთანავე ყიზილბაშებში დაერივნენ და
წამსვე დააბრუნეს. გაქცეული ყიზილბაშები წაიყვანეს და შუა მინ-
დვრამდისინ მიიყვანეს. აღა-მამად-ხანმა ეს რომ ნახა ცოტა ქართუზლ-
იმერლებისაგან, გაიკვირუა, მაგრამ საჩქაროთ სხუა დასტებს უბძანა
მიშუზლება და მიშუზლებისათანავე ის ჩუზნი მეომრები დაატრია-
ლეს და მინამ თავის ადგილამდი მორეკეს, მეფე ირაკლიმ ის ცხრა-
ასი დანარჩენი ქართუზლ-იმერლები მიაშველა. დაბრუნებულთ მიმშვე-
ლებელი რომ დაინახეს, ისინიც დაბრუნდნენ, შეუტიეს და კიდევ
მინდვრის შუამდისინ მირეკეს.

აღა-მამად-ხანმა გაკვირუზბით დაიძასა: – «როგორიც ქართუზლე-
ბის ვაჟკაცობა გამეგონა, იმაზედ უკეთესნი ყოფილან»! რომელმაცა
ახლა სხუა ჯარს უთხრა მიშუზლება და მიშუზლებისათანავე ქარ-
თუზლ-იმერლები დააბრუნეს. მეფე ირაკლიმ იმათი გამოქცევა რომ
ნახა, მესამე ათასი მიაშუზლა და ეგრეთუზ დააბრუნეს სპარსელები და კი-

დეგ მინდვრის საშუალამდისინ მირეკეს. იმაზედ აღა-მამად-ხან გაწყრა და
სხუზს დაუძახა – შეუტიეთო, მაგრამ აღარ იქნა, ქართუზლ-იმერლე-
ბი ვეღარ დააბრუნეს და ხმლით კაფა შეიქნა. მეფე ირაკლიმ
ქართუზლ-იმერლები შუა ყიზილბაშის ჯარში რომ დაინახა და თა-
მამად იმათი ხმლის ტრიალი, მოხუცებულს გული აუპრიალდა და
თავის ბაირახტარს დაუძახა: – «აზატხანის დამმარცხებელი ბაირახი

აქ მაიტა»! და ხუთას ქართუწლ-იმერლებსა უბძანა უკან მამყევითო. თუმცა მეფე სოლომან ბინაზე დააგდო, მაგრამ გულმა ვეღარ გაუძ-ლო და თავის პაპას შეუდგა.

ერთს მხარეს ბაირახზე გამოსახული იყო ღვთის მშობელი თავის ძითა და მეორეზედ წმინდა გიორგი, რომელსაცა ვეშაპი გაეგმირა შუბით. ამ გაფრიალებულის ბაირაღით გაექანა მეფე და უკან ის თავისი მეომრები გულადად მიჰყვნენ მეფე სოლომონითურთ. წარ-მოიდგინეთ, მეფე ირაკლი იმათში არ იყო გარეული, ისე ომობდნენ და როცა გაერია, რანი შეიქნებოდნენ ქართუწლ-იმერლები? თავის საყუარელი მოხუცებული მეფე რომ დაინახეს, ნამეტნავად იმ გა-ფრიალებულის ბაირახითა და მეფე სოლომანიც იმათში, ასე ეგო-ნათ მეორე სიცოცხლე მოგვემატაო. რანიც იყუნენ, ერთი სამათ შეიქ-ნენ. ორთავ მეფეს გვერდს მოუდგნენ და ჟიზილბაშთ ზედ დაასხ-დნენ. ბაირახ-გაფრიალებული მეფე ირაკლი ყიზილბაშის პირუწლს დასტას მიუხდა და ერთი ყიზილბაშის მეომარი ბაირაღის შუბით ჩამოაგდო და მაშინვე მოკვდა. ქართუწლ-იმერლებმა მათს მეფის ირაკ-ლისაგან ეს რომ ნახეს, ერთიანათ იჟივლეს, ყიზილბაშების დას-ტები მაშინვე დაშალეს, წინ წაიყარეს და უკან მიჰყვნენ, რომელიცა სადაც აღა-მამად-ხან იდგა, თვით მეფე ირაკლი და მეფე სოლომან თავის მეომრებით იქ აუხდნენ, საიდგანაც აღა-მამად-ხანმა თავი მოა-რიდა თავის დასტით და საჩქაროთ გაეშურა. მაგრამ იმდენი ჯარის შემწეობა კი აღარ ჰქონდათ ქართუწლ-იმერლებსა, ზევით რომ აუხ-დნენ, იმ მინდორზედ მისწოლოდნენ ყიზილბაშებს და სულ ერთიან თან გაეტანათ. თუმცა გამარჯუწბული გამოტრიალდნენ და თავის სიმაგრეშივე მოვიდნენ, მაგრამ ქართუწლ-იმერლები ძალიან სწუხ-დნენ: რაც სხუწბმა ღალატი მოახდინეს, იმათ ჯანი წაუვიდეს, ეს რაღა არის, რომ თავის ამხანაგი ძმები მტერსა პირში მისცეს და

თვითონ გაეპარნენ. თუ ის ორი ათასი ქიზიყის ჯარი, იმისთანა ხელ–გამომავალი გაჟკაცნი, აქ ჩუენთან ყოფილიყვნენ, დღეს აღა-მამად-ხანს ბოლოს მოუღებდითო. ამასთან ყუწლანი ერთპირად ცუდათ ახსენებდნენ რევაზ ენდრონიკაშვილსა, მეფის ირაკლის მე-ტი, ის კი მდუმარებდა და ფიქრობდა, რომ როგორ მოეგუარებინა კიდევ საქმე.

მეფე ირაკლიმ ქალაქში მახარობელი გამოგზავნა გამარჯუწბი-სა, სადაც დიდი სიხარული მოხდა, რომელთაცა მეფის ირაკლისა ასეთი დიდი იმედი მიეცათ, რომ ყუწლანი ამას ამბობდნენ: მეფე ირაკლი არც დამარცხებულა და არც დამარცხდებაო. ამასთან დაჭრი-ლები ქალაქში გამოგზავნა და მკვიდრები იქვე დაამარხვინა [18]). დამარცხებული და შეწუხებული აღა-მამად-ხან გატრიალდა და თა-ვის კარავში ჩამოხტა. თავის სარდლებს რჩევა ჰკითხა: ზოგ-მა რა თქუა და ზოგმა რა, მაგრამ აღა-მამად ხანმა გადუწყვი-ტა: ხუალ კიდევ შეგებმი და თუ ხუალაც ეს საქმე მიყო მეფე ირაკლიმ, რაც დღესა ქნა, მაშინუწ ავიყრები და ჩემს ქუწყანაში წა-

ვალო.

ომიდგან გამობრუნებულმა მეფე ირაკლიმ მაინც კიდევ მახ-
ლობელს სოფლებში კაცები გაგზავნა და ჯარები დაიბარა, მაგრამ
ყიზილბაშების მოსვლაზე იმ ბოროტ-გამძრახუჩლს შეეშინებინა:
საჩქაროთ აიყარენით, რომ ორასი ათასის კაცით აღა-მამად-ხან მო-
ვიდა ყაზახში, მეფე ირაკლი ერთიანათ ჯარით წაახდინა და ახლა
საქართუჩლოზე მოდისო, რომლებიცა სულ ერთიან აყრილიყვნენ
და ტყეებში დაფანტულიყვნენ. ქალაქის ხალხი კი არ ვარგოდა საომ-
რათ; მოვაჭრენი იყვნენ და თუ იყო ვინმე მეომარი, მეფეს ახლ-
დნენ თანა.

ყუჩლას გაუკვირდება, მეფე ირაკლიმ რატომ ზარბაზნები არ
ჩაიტანა, სადაც ომობდა და ზარბაზნებით არ დაუწეო ომი ყიზილ-

---

[18]) მეფე სოლომანის დის, ბატონიშვილის მარიამისაგან გამიგონია: ასე ვაჟ-
კაცად იყვნენ იმერლებიო, რომ მარტო ორასი მეტი თავად-აზნაური დააკლდათ
აღა-მამად-ხანის ორის დღის ომშიო, როგორც მეც ვიცი, მართლა ასეთი ჴელი
გამოუღიათ იმერლებსა, რომ ქართუჩლები გაუკვირვებიათ! თჳთ მაშინდელის ქარ-
თუჩლებისაგან გამიგონია.

ბააშებსაო, ანუ ქალაქის პირი არ გაამაგრაო? – მაგრამ მეფის ირაკ-
ლის განძრახუა სულ სხუა იყო. ჯერ უზარბაზნოთ, ქართუჩლ-
იმერლების ვაჟკაცობა უნდა ეჩვენებინა აღა-მამად-ხანისათჳს; მართ-
ლა კიდეც აჩუჩნა, პირუჩლს დღეს კვირასა და მეორეს დღეს ორ-
შაფათსა, რომელიცა ამ ორი დღის შემდგომ ქალაქის პირის გა-
მაგრებას აპირებდა, სადაც ზარბაზნები ეწყო, იქა.

ეს დაწყობილობა სწორეთ შაფათს საღამოზე მოახდინა, მე-
ორე დღის კვირაზედ, ომი რომ უნდა მომხდარიყო. მაგრამ რო-
დესაც კვირას დილაზედ მოხსენდა საენდრონიკოს ჯარის წასვლა,
დაწყობილობა ვეღარ გამოცუალა, რომელთაცა კვირის ომით, ამ
მცირეს მეომართაგან ასეთი ზარალი დაეცათ ყიზილბაშებს, მეორე
დღეს, ესე იგი ორშაფათს, ომი რომ მოხდა, ჟიზილბაშებმა ვეღარც
ერთი იერიში ვეღარ მოიტანეს და მხოლოდ თოფის სროლა აუ-
ტეხეს შორიდგან. შუადღემდისინ ქართუჩლ-იმერლებმა უთმინეს და
მასუკან ყიზილბაშებს შეუტიეს. ასე შეშინებული იყვნენ წინა დღის
ომით, რომ მაშინვე მოშალეს ისინი და ზევით მინდორზედ არე-
კეს. ამ ორშაფათ დღესაც ასე გაიმარჯუჩს ქართუჩ-იმერლებმა, მა-
გრამ მაინც ზემო მინდორზედ არ ავიდნენ და ან რა სარგებელი იქ-
ნებოდა? – ეს დღეც ასე, ამ ომით დასრულდა.

წამკითხუჩლო, კარგათ გაჩხრიკე, იმ ორი დღის ომების შემ-
დგომ, თუ იმ ზარბაზნებთან ომი მომსდარიყო და ის ორი ათასი
საენდრონიკოს ჯარიც იქ ჰყოლოდა მეფე ირაკლის, რა დაემართე-
ბოდა ყიზილბაშებს; იმ თვრამეტს ზარბაზნებს რომ დაუშენდნენ
მოუწყუჩტლად და ზედ იმდენი ჩუჩნი გათამამებული ჯარი მიაწუჩ-

ბოდა იმ ვიწროს სოღალუხის გზაში? – დარწმუნებული ვარ, ზოგს მტკუარში გადაჰყრიდნენ, ზოგი ქართუწლ-იმერლების ჴელით მოაკლდებოდა და იქით აღა-მამად-ხან უნდა საჩქაროთ აყრილიყო და სპარსეთისაკენ გაეწია. აი მეფის ირაკლის უკანასკნელი დაწყობილობა ასე იყო.

აღა–მამად-ხან, ომიდგან გაბრუნებული, წავიდა და იმ ღამესვე თადარიგი ნახა, მეორეს დღეს აიყაროს, ესე იგი სამშაფათ, ორი დღის ომის შემდგომ და სპარსეთისაკენ წავიდეს. მეთვალეებისაგან

ეს ანბავი მოუვიდა მეფეს ირაკლის [19]), თორემ იმ ღამესვე დაბრუნებას აპითებდა თავის ჯარით ზარბაზნებთან და ქალაქის ნაპირების გამაგრებას, რომელიცა ამის გამო იქვე დარჩა, კიდეგ ამბის მომლოდინე, იქიდგან ახლოს იყო. ამისთჳს თავის შვილი-შვილს სოლომან მეფეს გადაეხვია სიყვარულით და დიდის მადლობით დაითხოვა თავის მეომრებით.

– «ჩემო სოლომან! რაც შენ და შენმა იმერლებმა ვაჟკაცობა გამოიჩინეთ, მეტი ვაჟკაცობა აღარ იქნება. მართალია, კარგა იმერლები დაგვაკლდა, მაგრამ საუკუნო სახელი კი დაგრჩათ. ახლა, ჩემო სოლომან, შენც დაიღალე და შენის იმერლებით ქალაქში წადით, ამაღამ საჭირო აღარა ხართ, შენის იმერლებით ამაღამ კარგათ დაისვენეთ ქალაქში, ეს შენი დედიდაშვილი ესტატე ციცისშვილი, ეს ოსეფა ყორღანაშვილი და ეს იოსებ შაღბათაშვილიც თან იახელ [20]). წადით და ყოუწლი ჩუწნი ამბავი ქალაქელებს უანბეთ და ბებიაშენს დედოფალსაც, მაგრამ ვინიცობისათჳსა მაინც ამას გეტყჳთ, რომ ისევ სჯობია ქალაქი აიყაროს და თჳთ დარეჯან დედოფალიცა. რა ვიცი, ერთი უბედურობა არა მოხდეს-რა, როგორღაც ცუდ გუნებაზე შევიქენ, ამისთჳს რომ ჯარი ჩუწნ არა გვყავს და რაცა გვყავს, თითქმის ისიც გაგვინახევრდა, ამ ორი დღის ომში. თუმცა ამბავი მამივიდა: აღა-მამად-ხან აყრას აპირებს ხუალო. მაგრამ აგრე ჩქარა ვერ ვენდობი მე იმათ, იმათგან ძალიან კარგათ გამოცდილი ვარ, ამისთჳს უთუოთ გაფრთხილება გვმართებს. ახლა ცხადათ ვხედავ, ბევრი ღალატია ჩემზე და ის ღალატი არ ვიცი საიდგან რა უნდა იყოს, მეტი საიდუმლო რაღაც რამ არის, ვერ მიმხვდარვარ. (ღრმად დაფიქრების შემდეგ): თუ მართლა ღმერთი ინებებს

---

[19]) ადირბეჟანის ხანებს უგზავნიათ ჩუმათ კაცი ირაკლისათვის. ამ დროებში იმათთან ერთობა ჰქონდა, გარდა განჯის ხანისა, რომელმაცა თჳთ იმან წამოიყუანა აღა-მამად-ხან საქართუელოზედ.

[20]) ესტატე ციციშვილი იყო ქ. ტფილისის მოურავი, ოსეფა ყორღანაშვილს სადედოფლო ყმა-მამული ებარა და მეფის ირაკლის სალაროც და მილახვარიც ის იყო. და იოსებ შაღბათაშვილი კი სასახლის კაცი, რომლებიცა ოსეფა მილახუარი და ესეც მეფის ირაკლისა დიახ მახლობლები იყვნენ, მაგრამ ორნივ მოღალატენი მეფის ირაკლისა და მცდელნი საქართუწლო დასცენ. ოსეფა მილახუარი შემდგომ გაორგულდა, როდესაც სარდალმა დავით ჯ. ორბელიანმა სცემა ძალზედ. ოდესმე იმისი აღწერაც იქნება.

და აღა-მამად-ხან აიყრება, ისევ ჩქარა დავაბრუნებ ჩუწნს აყრილებსა ქალაქში და თუ ომი მოგგიხდა და ვერა შევიძელით-რა, კახეთისკენ გავალ, იქიდგან ხუთს ან ექვს დღეზედ, თორმეტი ათასს კარგ ცხენიანს ვაჟკაცს მოვიყუან და გატეხილს ხიდს შეუკრამს აღა-მამად-ხანსა, მაშინ თჳთონ შენ გაჩუწნებ, ჩემო სოლომან, რასაც მე იმას უზამ. დეე ეხლა უხალხო ქალაქი წაიღოს, არაფერია, ხმის გამო ხუალ დილაზედ რაც ჩემი ბძანება მოგივიდეს, ისე მოიქეც, მზათ იყავ, მაგრამ იმ ზარბაზანთან ის შენი ათასი კაცი რომ დგას, არ წაიყუანო, როგორც დგანან, იქვე იდგნენ». ამ სიტყვით გამოსწია და წამოვიდა. მაგრამ არაჩნურთის ოსეფა არღუთოვისაგან იყო ერთი შემოჩენილი რუსეთიდგან არტემ არარაცკი მეფის ირაკლისა და საქართველოს დასაღუპად. ბევრი ჩვენი დასამხობი ამბებია იმ არტემასაგან და ერთსა კი ეხლა ვიტყვი იმის საქმეს ამ ამბავსა შორის, რომ დასანახად იყოს, იმისი საშინელი საქმე ჩვენსა წინაპარზედ; კმარა კიდეც იმის გასაცნობად, ის ერთი იმისი მოქმე–დება, რომელსაცა სომხურათ ერქუა იმას: არუთინ არარაციან და რუსულათ არტემ არარატი შეიქნა. თავის დროზედ იმაზედაც ის აღწერა იქნება, როგორც იმან პირველად იმოქმედა აღა-მამად-ხანის მოიყვანა საქართველოზედ.

პირუწლ ღამეს ქალაქი რომ შემოიარა მეფე სოლომანმა, პირ-და-პირ სასახლესთან გადახდა და თავის ბეგია დედოფალსა იახლა, სადაც დიდი მხიარულება იყო და დიდი სიხარული იმდენი გამარ-ჯუწბისა. იქ დახვდა დარეჯან დედოფლის შვილი, ბიძა სოლომა-ნისა, ანტონი ქათალიკოზი და დედაჩემიც იქ იყო.

რაღა გავაგძელო, როდესაც მეფის ირაკლის განძრახუა გამო-უცხადა და წვრილად უანბო მეფე სოლომანმა: ისე გამხიარულებუ-ლები ვიყავით და შემდეგ ასეთმა მწუხარებამ მოგვიცო, რომ სულ ერთიან ჩავითუთქენითო და კარგა ხანი გონებაზედ ვეღარ მოვედი-თო. ამას დედა-ჩემი იტყოდა ხოლმე. ამისთჳს რომ ყუწლანი დარ-წმუნებული იყვნენ, მეფეს ირაკლისა შემოსული მტერი ვერას უზა-მდა და ამის დასამტკიცებლად ის მეფის ირაკლის სასახლე და სალარო ისე უძრავათ იყო; იმთენი სიმდიდრე სასახლისა ანუ სა-ლაროსი, სულერთიან ისე დარჩათ, რომ ერთი იოტის დანაფასები

ადრითვე არა დაუხიზნამთ-რა, ასეთი იმედი ჰქონდათ მეფის ირაკ-ლისა, ამისთჳს რომ გამმარჯუწბელი ბედი მარადის წინ უძღოდა ერეკლეს!

კარგახანის დაღონების შემდგომ, ქათალიკოზმა ანტონმა თა-ვი აიღო და მწუხარებით ბძანა:

– «რადგან უბძანებია დაყოვნება აღარ უნდა – უნდა ჩქარა ავი-ყარეთ».

მაშინვე ძლივს რას ყოფით ორი ტახტრევანდი მოამზადეს; ერთში დედოფალი დარეჯან ჩასუ§ს, რომელიცა მწარეს ცრემლით იბანებოდა. რაც ახლო-მახლოს ძვირფასი ნივთები მოახელეს, ანუ ფული, ისიც იქ მიართუ§ს ბოხჩით შეკრული. მეორე ტახტრევანდში საოფლით ავადმყოფი ბატონიშილი ალექსანდრე ჩააწვინეს, დედა-ჩემი ცხენზედ შეჯდა, გამდლებიც და მოახლეებიც ეგრეთვე, თავად-აზნაურები ხომ რასაკვირველია, და ამათ წინ გაუძღუა ქათალიკოზი ანტონი ცხენით და მთიულეთისაკენ გაემგზავრნენ. ყმაწვილი კაცი აზნაური ნიკოლოოზ [22]) ელიოზაშვილი და უფროსი ერთი მოსამსასურენი ქუ§ვითები გაჰყოლიან, რომ ცხენები ვეღარ მოუხერსებიათ, ისე სანქაროთ წასულან.

წყალის ალაყაფის კარებთან რომ მივიდნენ და მინამ იმის დიდს კლიტეს გააღებდნენ, ამ დროს ერთი ქვრივი დედაკაცი, სომხის მოქალაქისა, მოიჭრა და შეწუხებულმა დაიძასა: – «დედოფალო, უპატრონო გახლავარ, უქრმთ-უშვილო და უნათესაო. ქვრივი, რომე–ლიცა თქუ§ნის მოწყალებით ვიზდები, ეხლა ეს არის თქუ§ნი აყრა შევიტყე; გიჟსავით გამოვარდი და თქუ§ნთან გიახელ. ღმერთი გადღეგძელებს, ნუ დამაგდებთ აქა და ყიზილბაშების ჴელში ნუ ჩამაგდებთ, როგორც იყოს, მეც თან წამიყუანეთ».

იმ სავსეს ნივთებით ბოხჩას, დიდი ადგილი სჭერია, ასე რომ ტახტრევანდში ადგილი აღარ იყო. იმის სიტყვაზედ დედოფალი თურმე ძალიან შეწუხდა და შემდეგ მოსამსახურეებს დაუძახა:

– «ეს ბოხჩა აიღეთ აქედგან და მაგის ადგილას ეგ დედაკაცი დასვით».

---

[22]) ამის სახელი ბოლოშიაც იქნება, ეს იყო კათოლიკოზის ანტონის ნაზირი.

პირუ§ლს გამდელს წყნარი-სახარს გაებედა და მოეხსენებინა:

– «რაც ძვირფასი თვლები და ნივთებია და ან ფულია სულ დაიგარგება».

– «რას მეუბნებით, ადამიანის გამოხსნა არა სჯობია ჭიქების შენახუას? აიღეთ, თუ ღმერთი გწამსთ, მანდ კედლის ძირში დადევით სადმე, თუ თქუ§ნ ვერ შეიძლებთ წამოღებას, ვინც უნდა წაიღთს».

მაშინვე ის ბახჩა კათალიკოზმა გაახსნევინა, ნივთები და ფულები აქა-იქ დაარიგა, შემდეგ ის დედაკაცი ჩასვეს ტახტრევანდში და მასუკან გაეშურნენ. იმ დედაკაცსა რქმევია მათუა.

ისინი რომ გაეშურნენ, ამდროს ერთი ამაზონკა ლამაზი ქალი ორის მუახლით და სამის ბიჭით დედოფალს მოეწივნენ ცხენეზზე ამხედრებულები და იმ ლამაზმა ქალმა დედოფალს მოხსენა:

– «ჩემო ხელმწიფეო დედოფალო, თქუ§ნი აყრა გავიგონო. მე თქვენ თავს როგორ დაგანებებ, მე თქვენთან ვიქნები განუყრელად».

დედოფალმა მაშინვე ხმაზედ იცნო და უთხრა:

– «ნაბათ-ხანუმ, შენა ხარ ჩემო ნაბათ-ხანუმ. მოდი ერთათ ვიყვნეთ და ერთი გაჭირება გამოვიაროთ». იმ ამბებში აღარც მოშორებია. ეს ქალი იყო ალავერდბეგის ედიგარასშვილის ცოლი, ციხელის თათრის კარგი პირველის ოჯახისა, მერე დედოფალმა ჰკითხა:

– «ჩემო ნაბათ-ხანუმ, შენი ქმარი ალაგერდბეგი სადღა არის?»

– «ჩემი ქმარი და მთელი ჩუჭნი ოჯახობა კაცები სულერთიან მეფეს ირაკლისთან თავის სისხლსა ღვრიან სოღალუხის მინდორზედა მამულისათჳს». დედოფალი ატირდა და ქათალიკოზი ანტონიც. იმ ალავერდის ამბავი აქ ქვემოთ კიდევ იქნება.

მეფის ირაკლის ამბავი ხომ გუახსომს, მეთუალეებისაგან ამბავი რომ მოუვიდა: აღა-მამად-ხან ხუალ აყრას და წასულას აპირებსო. – სწორეთ ასეც მოხდა. სამშაფათი დილა რომ ინათლა, ამბავი მოუვიდა თავის წინა ყარაულებისაგან: – «აღა-მამად-ხან აიყარა და ჩქარა მიდისო». მაშინვე მახარობელი გამოგზავნა და ვინც დარჩენილები იყვნენ ქალაქში, ეს ამბავი ახარა, მაგრამ ზევით რომ

ვთქჳთ, აი ის არტემ (არუთინ) არარაცკი, იმ ელჩის გამაპარებელი ორშაბათის ღამეს, თვითონ თავის მოსყიდულის სომხის კაცებით უბელადა ელჩსა და პირიქით თელეთისკენ იმან გადიყუანა იმ ღამესვე კოჯრის ქუჭმოთ დაბალს მთებზე, რომელმაცა დიახ კარგათ იცოდა იმის ადგილები გარკვევითა და შემდგომში ისევ ტფილისისაკენ დაბრუნდა, ახლა კიდევ სხუა ეშმავობის და ცბიერებისათჳსა. მეფე ირაკლიმ ქ. ტფილისში, მელიქმს დარჩია ბებუთაშვილს რომ გამოუგზავნა ის ელჩი, თან შემოუთვალა: კარგათ გაუფთხილდი, არ გაიქცესო. მელიქმაც ქალაქის შემნახავ კაცებს მიაბარა და თჳთონ ცოლშვილით აიყარა, მაშინ როდესაც რომ პარასკევს ნახევარ ქალაქი აყრილი წავიდნენ, ისიც იმდროს ქალაქიდგან გავიდა. რასაკვირველია, ისიც მოღალატე იყო, რომელსაცა შემდგომ ლექსიც გამოუთქუჭს.

„აბა ჩემო მელიქო, ფიინაობა დაიწყე,
ბაგრატიონთ სისხლითა გულმუცელი აივსე.“ და სხვანი...

იმისი და სხუჭბის ამბები თავის დროზედ იქნება.

ქათალიკოზი ანტონი თავის დედის დედოფლით რომ აიყარნენ, მაშინ მეფე სოლომონმა ქალაქში კაცები დაატარა და დანარჩენს ქალაქელებს აყრა გამოუცხადა: მეფის ირაკლის ბრძანება არისო. ქალაქელებმა ყურიც არ გაიბერტყეს: კიდევ გუატყუებენ; მეფე ირაკლი ცოცხალი იყოს, თორემ ქალაქს ფიქრი არა აქვსო.

ამის მეორეს დილის ადრე თითქმის ნახევარ ქალაქის აუყრელობა რომ მოხსენდა მეფე ირაკლის, მეფის სოლომონის გაგზავნილის კაცისაგან და ზედატანებით აღა-მამად-ხანის აყრაც აცნობეს ყარაულებმა, რომელიცა ზევით გავიგონეთ და ამდროს მახარობელიც

რომ გაუგზავნა ქალაქელებს, ამაზედ უფრო დარწმუნდნენ: აი თუ
არ გუატყუებენო? – ამისთჳს უფრო უფიქრელად დარჩნენ ქალაქე-
ლები ქალაქში და მეფის ირაკლის დღეგრძელობას ღმერთსა სთხოვ-
დნენ ყუწლანი, მაგრამ მეფე ირაკლიმ ის ელჩი რომ დააჭერინა
აღა-მამად-ხანისა და ქალაქში გამოგზავნა, როგორ ზევით გავიგო-
ნეთ, ორშაფათის ღამეს ქალაქიდგან გააპარა დიახ ჩუმათ არტემ
არარაცკიმ, თვითონ იმან უშველა და პირიქით მოეწია აღა-მამად-

ხანსა. აღა-მამად-ხან გაუწყრა: აქამდისინ სად იყავო? – ელჩს თაგი
გაემართლა, მასუკან აყრილობის მიზეზი ეკითხა ელჩსა. აი აღა-
მამად-ხანის პასუხი:

– «მეფე ირაკლი ნადირშას გაზდილია, მე იმან ომი არსაც არ
დამიწყო, მომიყუანა თავის ქალაქის პირში, ორი დღე ძალიანი ომი
გვქონდა და ვერა დავაკელით-რა; ეტყობა მეფეს ირაკლის დიდი ჯა-
რი ჰყავს იმ ხევებში დამალული და მე კი განგებ ცოტას მაჩუწნებს,
თორემ თუ ცოტა ჯარი ჰყუანდეს, ამ საქმეს ვერ მიზამდა [22]). მე
ვხედავ, მეფე ირაკლი ასეთს საქმეს მიპირებს, თუ არ წავედი, ბო-
ლოს ვინანო? ელჩმა ფიცით დაარწმუნა: მეფეს ირაკლის მაგთენი
ჯარი არა ჰყავს, რაც თქუწნ გინახამთ, იმაზე მეტიო, რომელმაცა
არტემ არარაცკის ამბავიც უამბო; იმ ხანის შემნახველი ქალაქის კა-
ცები როგორ მოისყიდა და ან რაერთი ფული მისცა იმათ, მასუკან
როგორ გამოიყვანა ქალაქიდგან, ან როგორ გადმოვიდნენ ქალაქის
ციხის კედელზე, ან იმ მთებზედ როგორ გადმოიყვანა, ესენი
სულ წვრილათ უანბო არტემ არარაცკის საქმე და ამასთან არტემ
არარაცკის დაბარება მოახსენა: ქალაქის ამბავი, იმათი შეშინება და
ნახევარ ქალაქის აყრა და სხუანი... ელჩისაგან დარწმუნდა აღა-მამად-
ხან და მასუკან ისევ იმას ჰკითხა რჩევა: მაშ რა ვქნათო?

– «ექგსი ათასი მეომარი მიბოძე, აქეთი მხრის მოკლე გზე-
ბი ახლა კარგათ ვიცი, ერთერთს მოკლე გზაზედ გადვივლი და მე-
ფეს ირაკლის უკან მოვექცევი, აქედგან თქუწნ მიხუალთ, შუაში
მოვამწყვდევთ თავის ჯარით და ყათლანს უზამთო».

ეს რჩევა დიდათ მოიწონა, მაგრამ ხუთი ათასის მეომრების
მეტი არ მისცა და ამ ჯარით გამოისტუმრა.

ამთენს უბედურებასთან ამ დილით ასეთი ბურუსი მოიხვია,
ას ნაბიჯზედ აღარა გაირჩევოდა-რა. ელჩი ჯარებით რომ წამოვიდა,
პატარა ხანს უკან აღა-მამად-ხანიც დაბრუნდა და ქალაქისაკენ გა-
მოსწია. მეფე ირაკლის მოწინავე ყარაულებმა გაარჩიეს, ყიზილბა-

---

[22]) აღა-მამად-ხანის მოკვლის შემდგომ, მეფე ირაკლიმ განჯის ციხე რომ აი-
ღო.და ჯავათხან გამოიყვანა და ბოლოს დროს კარგათ დაიახლოვა, სხუათა შო-
რის იმას ეთქო: აღა-მამად-ხანისა ჯარსა იმ ორის დღის ომში ათი ათასამდისინ კა-
ცი დააკლდაო.

მები ისევ დაბრუნდნენო. და ეს ამბავი მეფეს აცნობეს, რომელიცა ამდროს, იმ დილით ახალ გაკეთებულს სანგლებთან იდგა თავის ჯარით იმ ვიწროს სოღალუხის გზებში, ეს უკანასკნელი ამბავი რომ მოუვიდა, რასაკვირველია, გუახსომს, წინა ღამეს, რომ გრძნობდა და მეფე სოლომანს უთხრა: როგორღაც ცუდ გუნებაზე შეგიქენო. აძის გამო, ამის მეორეს სამშაფათის დილაზედ, ესე იგი 11–ს სექტემბერსა, ის ვიწრო გზები, ორს თუ სამს ადგილას ჩაახერგინა, რაზედაც ქუა, კლდე და რაც მოხუდათ ჩააყრევინა შიგა, ვინიცობისათჳს: დიდს ჯარს გაუჭირდეს გადმოსვლა, რომ მანამდისინ ჩუჭნი საქმე მოვივარგოთო.

ამდროს როდისაც რომ აღა-მამად-ხანის დაბრუნება მოახსენეს ირაკლის, დაიძახა: – «რასაც ვფიქრობდი, ის მოხდა. აბა ახლა საჩქაროთ გავწიოთ და ქალაქის პირში ჩუჭნ ზარბაზნებთან მივიდეთ. ეხლა ამ ბურუსში მეშინიან, ერთს რომელსამე კოჯრის მთის მხარეს არ გადვიდნენ და ზარბაზნები არ წაიღონ. თუ ეს საშინელი ბურუსი არ მოეხვია არც ერთი ყიზილბაში მეომარი ვერ გამეხვეწებოდა საითკენაც უნდა წასულიყო, არამც თუ ჯარი, მაგრამ ამ ბურუსისა მეშინიან» [23]). ამასთან მეფე სოლომანთან კარგი ცხენიანი კაცი გამოაქცია: დიახ ჩქარა ზარბაზნებთან დამხვდი შენის ჯარითაო და თვითონაც გამოსწია, როგორც ჯარსა შეეფერება, ისე ჩქარა, მაგრამ ყიზილბაშებმა გადმოასწრეს და ზარბაზნებს წამოადგნენ თავზე. ამთენს უბედურებას უბედურება დაერთო. ამდროს ნისლმა გადიყარა და ყიზილბაშებმა ზარბაზნები დაინახეს, რომლებმაცა იმ ათასმა იმერლებმა დაიდასტურეს: მეფე ირაკლი თავის ჯარით წაუხდენიათ, თორემ ყიზილბაშების ჯარსა ამ მხარეს რა უნდოდაო? – ზარბაზნების უფროსი მეფის ირაკლის მაიორი თ. გიორგი გურამიშვილი რამდენს ეხვეწა მცირე ხანს მოცდას: რასაც ფიქრობთ ტყუილი არისო. მაგრამ არა ქნეს, გამოსწიეს და ქალაქში ეს ამბავი შემოიტანეს, მაშინ როდესაც რომ სოლომან მეფე აბანოების კარზე იდგა თავის ჯარითა და თავის პაპის ბძანებას ელო-

---

[23]) კოჯრისა ანუ ტაბახმელის მთების გზები, ბატონიშვილს დავითს ჰქონდა შეკრული, რომელიცა მეფე თრაკლი, იმის იმედით იყო, რომ იქით მხარეს მთაზედ არვის გადმოუშვებდა. შემდეგ გარკვევით წავიკითხამთ.

და: საითკენ მიბძანებს, იქით წავალ. მაგრამ ის კაცი მეფე ირაკლიმ მეფე სოლომანთან რომ გამოგზაგნა: ზარბაზნებთან დამხვდიო, იმ კაცს კოჯრის მოწინავე ყიზილბაშის ჯარის კაცები შეხვედროდნენ და იქუჭ მოეკლათ.

იმ ათასმა კაცმა იმერეთის მეომრებმა ეს ამბავი მოუტანეს მეფე სოლომანსა: მითამ მეფე ირაკლი თავის ჯარით სულ გაწყვიტეს ყიზილბაშებმაო, ზარბაზნებიც იმათ წაიღესო და ჩუჭნ ძლივს გადვირჩინეთ თავიო. ყმაწვილი კაცი მეფე სოლომან ამ გაუგებელის ტყუილით მოიტაცეს და საჩქაროთ იმერეთისაკენ გასწიეს.

დამშვიდებულმა თითქმის ნახევარ ქალაქის ხალხმა ერთმანეთი

დაარწმუნეს: «იმერლებმა გვიღალატეს, თორემ ამ დილით მახარობელი არ მოგვიგიდა, რომ აღა-მამად-ხან აიყარა და საჩქაროთ წავიდაო?»

ამ ამბებში კოჯრის, ანუ ტაბახმელის მთის გზები შეკრული ჰქონდა ბატონიშვილს დავითსა ოთხასის კაცითა და ოთხის ზარბაზნითა, რომ აღა-მამად-ხანის მოძრაობა, საითკენაც წასულიყო, იქიდგან უნდა ეხრიკა და მეფისათჳს ეცნობებინა. ვინიცობა არის თუ ყიზილბაშის ჯარი მთის გზაზედ წამოვიდოდა, მაშინვე ზარბაზნები უნდა დაეცალა და ამით ეცნობებინა: მთაზედ მოდის ყიზილბაშის ჯარიო. და თვითონაც საომრათ დახუჴდროდა იმათ, რომელიცა ზარბაზნების ჴმის გამგონე გამოეშურებოდა; საჩქაროთ ზარბაზნებთან მოვიდოდა თავის ჯარით და მაშინ ყიზილბაშის ჯარი ვეღარას დააკლებდა მეფე ირაკლისა, მაგრამ ყიზილბაშის ჯარმა მთის მოკლე გზაზედ რომ გადმოიარეს, სადაც ბატონიშვილი დავითი იდგა, ერთი მესროლი კაცი აღარავინ აღარ დახვდათ და თავისუფლად გამოიარეს. თუ ბატონიშვილს დავითს ის ზარბაზნები არ დაეგდო და არ გამოსცლოდა, ამთენი მესროლით და ოთხი ზარბაზნითა, იმ მთას გაიმაგრებდა და ყიზილბაშებს არ გადმოუშვებდა.

რაღაც უცნაური ხასიათები დასჩემდა ბატ. დავითსა, რუსეთიდგან რომ მოვიდა. ორშაფათის საღამოზედ, ვიღასაც საიდუმლოთ მოეხსენებინა, იქნება განგებაც იყო, რომ იმანაც უღალატოს; რომელსაცა მანამდის თურმე უმალავდნენ თავის ბიძის რევაზ ენდრონიკაშვილის ღალატსა, რომ ბიძა თქუჴნმა მეფეს ირაკლის უღალა-

ტაო და ამასთან ყუელა ეთქუათ, რაც წარსულში გავიგონეთ. აღარც დაფიქრდა, აღარც გული მოისუჴნა და გაფხუკიანებული წამოხტა; თავის მეომრებში გაერია და ხმა-მაღლივ დაიძახა:

– «საწყალს პაპა-ჩემს, მეფე ირაკლის ყუჴლამ უღალატა; აქ მარტო ჩუჴნ რაღა უნდა შევიძლოთო?»

გაანჩხლებულმა ის ოთხი ზარბაზანი ხევში გადააყრევინა, თჳთონ მწყნეთის გზაზედ გადიარა, და კახეთისაკენ გასწია: მეტის ჯავრით თრთოლა მოსდიოდა, ლავარაკი ძლივსღა ესმოდაო.

რა რომ ბატონიშვილმა გიორგიმ (დავითის მამამ) შეიტყო იმისი კახეთში გადასვლა, მაშინვე დაიბარა, მაგრამ ნაცვლად წასვლისა, ბევრი ავი სიტყვა შეუთუალა, კარგახანიც გავიდა აღარ ნახა და, თუ ოდესმე ნახამდა, ასიც იშვიათად, ცოტას ხანსა. ამის შემდეგ, ასე შესძაგდა, რომ მამის სახელის ხსენებასა დავითთან ძნელად გაბედავდნენ ხოლმე, გიორგი ბატონიშვილი (შემდეგ მეფე) დამნაშავე არ იყო, ის იყო სნეული კაცი და დიდი ღვთის მოყუარე. ვინც იყვნენ მიზეზნი, დრო ბევრია.

ყიზილბაშის ჯარი მთაზედ რომ ამოვიდა, აქედგან ჩქარა გამოსწია და მაღლობზედ გადმოდგნენ ზარბაზნებსა, როგორც ზევითა ვთქვით, ისე. ნისლ-გადაყრილს დროში, ზარბაზნები რომ დაინახეს, მაშინვე წამოვიდნენ და კრწანისს ბაღებთან მოვიდნენ, სა-

იდგანაც კარგათ გაჩხრიკეს, ნახეს რომ ზარბაზნებს ჯარი არა ჰყავს, უთოფო თოფჩების მეტი, რომელთაცა დიდათ იამათ და შემოსატევად წამოვიდნენ.

დანარჩენ ქალაქის ხალხს რომ უკვირდათ: იმერლებმა გვიღალატესო, ამ დროს ზარბაზნები გავარდა და გავარდა. ამისმა ჴმამ უბედურობის ამბავი მიუტანა ქალაქელებს და ყუზლანი უბედურობის ზარმა აიტანა.

ზარბაზნების უფროსმა მაიორმა თ. გიორგი გურამისშვილმა, (მეფის ირაკლის ნათლული იყო), ამისთანა გაჭირება ნახა, რომ აუცილებელი სიკვდილი მისულიყო. იმათზე, ყუზლას ჴმა-მაღლა შესძახა:

– «ქართუზლებო ძმებო! ცხადათ ვხედავთ აუცილებელი სიკვდილი მოსულა ჩუზნზე, მაგრამ ესეც შეგვიძლიან უნამუსოთ დავ-

ნებდეთ ჟიზილბაშებს. აბა რომელი გინდათ, სახელით სიკვდილი მამულისთჳს და კარგის მეფისათჳსა, თუ უნამესოთ სიცოცხლე?

ყუზლამ ერთპირათ:

– «ჩუზნ მამა-პაპასა უნამუსობა არ უქნიათ და ჩუზნც იმათი შვილები ვართ. სიკვდილი გვირჩევნია უნამუსო სიცოცსლესა.

– «გმადლობთ ძმებო, რაც თქუზნს კაცობას ეკადრება, სწორეთ იმისთანა გული გაქუსთ, მაგრამ სამი თითით ყუზლამ მიწა ავიღოთ; შეგჭამოთ, ეს იყოს წმინდა საიდუმლოს მაგიერი. მასუკან საიქიოს წავდგეთ სახელოვნად».

ყუზლამ მიწას დაავლეს სამი თითით და ღვთის ხსენებით შეჭამეს: ღმერთო, შეგვიწყალე.

ყიზილბაშები რომ ემზადებოდნენ შესატევად, მაგრამ დაშენილმა ზარბაზნებმა შემოფანტა სულ ერთიან და მოუწყუზტლად მიაყარეს ზარბაზნების საფანტი, ამ დროს მეფე ირაკლი სოღალუხის ვიწროებში მოეშურებოდა თავის ქართზლებით. ზარბაზნების ქუხილი რომ გაიგონეს, უფრო გამოეშურნენ და რაც შეეძლოთ წამოვიდნენ. ზარბაზნების საფანტმა რომ მიფანტ-მოფანტა ყიზილბაშები, ამ დროს შეხედეს, ნახეს რომ ქართუზლები ვიწროებში მოეშურებოდნენ და ამაზედ ელდა ეცათ, რომელთაცა გადაწყუზტითა თქუზს:

– «თუ იმ ქართუზლებმა ზარბაზნებთან მიგუასწრეს, ეთუოთ წაგუახდენენ. რაც დაგუზმართოს უნდა შეუტიოთ».

ამასთანვე შეუტიეს და ზარბაზნებზე მიყარეს ცხენები ოთხსავ კუთხივ. მანამდისინ თითო კიდევ ესროლეს, ისიც აქა-იქა, მაგრამ მაინც კიდევ შიგ შეუხდნენ და შეიქნა ხმლის ტრიალი. თუ სხუა თოფიანი ჯარი ჰყოლოდათ ზარბაზნებთან, იმ მაგარს ადგილებში, შეეძლოთ რომ ყიზილბაშის ჯარი შეეყენებინათ თოფის ტყვიით, ზედატანებით ზარბაზნების გატენასაც მოასწრობდნენ და ყიზილბაშებს აღარ შემოუშვებდნენ. ამაობა ში მეფე ირაკლიც მოეშუზლებოდა თავის ჯარით და ქართუზლების საქმე გაიმართებოდა.

მაგრამ როდისაც ყიზილბაშებმა კარგათ გაარჩიეს და ბოლო დროს თამამად დაერივნენ თოფჩებში, მაშინვე ქართუ<ლებმა ხმლებს ჴელი გაიკრეს და თჳთო ყიზილბაში მაინც ჩამოაგდეს, მაგრამ ბოლოს

ისინიც აწყვიტეს და თუ დარჩა ვინმე დიახ, ცოტა, ისიც როგორ-
მე შემთხუ<ვით. ის მაიორი გურამიშვილი კი გმირსავითა დადგა
და ხმლით სამი ყიზილბაში ჩამოაგდო და მეოთხეს დაამტვრია ზე-
და, რომელიცა მაშინუ< გამოტრიალდა და ერთს ზარბაზანს გადა-
ეხვია ამ სიტყჳთ:

– «ღმერთო! ოღონდ მეფე ირაკლი მშვიდობით გაიყვანე ამ
საშინელებისაგანა და მე მამულის ჭირის სანაცვლო ვიყო.» გამგე-
ლებული ჟიზილბაშები მისცვივდნენ და ზედ ზარბაზანზე დაკაფეს,
ის სიკვდილის შეუშინებელი, მამულის მოყუარული, მეფის ერთგუ-
ლი, თავის ვალის აღმასრულებელი, რიგის დამცუ<ლი, სრული პა-
ტიოსანი და სულით დიდი კეთილშობილი!

მეფე ირაკლიმ და იმისმა ჯარმა ზარბაზნების ჴმა რომ ვეღარ
გაიგონეს, დაიდასტურეს: ზარბაზნები წაახდინეს, თორემ იმათი ჴმა
არ გაწყდებოდაო. ამაზედ სულ ერთიან გაიფიცნენ: ან ნამუსიანათ
თავი გავიტანოთ და ან ნამუსიანათ დავიხოცნეთო. ამ სიტუაზედ
გამოსწიეს და გამოეშურნენ.

როდისაც ყიზილბაშებმა ზარბაზნები წაახდინეს, მაშინვე ათა-
სი ყიზილბაში სოლოლაკისაკენ გამოგზაგნა იმ გაპარებულმა ხანმა,
გზის მცოდნე თავის მოსამსახურის ბელადობით და ეს ჯარი უკან
ქალაქისკენ ჩამოვიდა დასავლეთის მხარეს, სწორეთ მაშინ, როდი-
საც მეფე ირაკლი თავის ქართველებით, მტკვრის ხიდზე ავლაბარ-
ში გავიდა, მაგრამ იმ ყიზილბაშის ათასის კაცის გამოგზავნის შე-
მდეგ დაინახეს, რომ სოღალუხის ვიწროებში ქართუ<ლებიც მოე-
შურებოდნენ, რომლებიცა ადრითუ< შეშინებული იყვნენ იმათ-
გან იგინი, რომ ეგონათ: რაც ჯარი წინა დღეების ომებში იყო,
კიდევ იმთენი ჯარი იქნებაო. უფრო კიდევ ამისი შეეშინდათ, თა-
ვიანთი ყიზილბაშის ჯარი არ მოსდევდათ იმათ, ამისთჳს კარგა
შორსა თავი მოარიდეს და ზევითკენ წავიდნენ, რომელთაცა მო-
შორებით გამოუარეს შარა გზაზე ქართუ<ლებმა და სეიდაბათის ბა-
ღების ორღობეებისაკენ წამოვიდნენ, თორემ თუ ის ოთხი ათასი
ყიზილბაში წინ დახუ<დროდათ, ამათის ჴელით გაწყდებოდნენ გა-
ნახევრებული ქართველები და იმთენის შრომისაგან დაღალულ-და-
წყუ<ტილები. სახელისთჳს და პატიოსნებისთჳს, ესეც რომ ასე

ყოფილიყო, ძალიან კარგიც იქნებოდა!.. ესეც მეფის ირაკლის უბე–
დურობა.

რა რომ აღა-მამად-ხან სოღალუხის სოფელთან მოვიდა ჯა-
რებითა, კიდევ ძალიანი ნისლი იდგა დედამიწაზე, რომლებსაცა ად-

გილობრივ დადგომა უბძანა, კიდევ ვერ გაბედა ვიწროებისაკენ წამოსულიყო, ასე შეშინებული იყვნენ ქართუწლებისაგან. ამისთჳს თავის საკუთარის კაცებითა მტკუარის მდინარეში გავიდა ნათლუხისაკენ და ამ დროს ნისლმაც აიეარა, იმ დროს მტკვარიც ცოტა მოდიდებულიყო. ამისთანა შემთხუწვანი ასე გვგონია: განგებ არისო, თჳთ განგებისაგან მომზადებული უბედურება – უბედურს ერეკლეზედ. საიდგანაც აღა-მამად-ხანმა სოღალუხის ვიწროებსა და იმის ხევებსა ჩხრეკა დაუწყო: მეფე ირაკლი ჯარს ხომ არ მალამსო? – კარგათ გაჩხრიკა, ნახა, რომ ჯარი არსად არ იყო, მეფის ირაკლის მეტი, რომელიცა თავის ჯარით მიეშურებოდა გიწროს გზებში და ამდროს ზარბაზნების ხმაც გაიგონა ქალაქის პირიდგან აღა-მამად-ხანმა, რომელმაცა იქიდგან დააძახებინა: ჩქარა გამოუდექითო. და თჳთონაც ჩქარა გამოვიდა მტკუარში, მაგრამ იმ ჩახერგილებმა კარგახანი დაიჭირა ჯარი; მინამ ისინი მიყარ-მოყარეს, მეფე ირაკლიმ ვიწროები გაიარა.

აქ დაუყოვნად აღა-მამად-ხანმა, ვისაც კარგი ბედაური ცხენები ჰყუანდათ, ისინი გამოუყენა და ისინიც ასე წამოვიდნენ, რომ შურდულის ქუასავითა, რთმლებსაცა ჯარი უკან დაადევნა და თჳთონაც ნელად გამოჰყუა იმათ.

მეფე ირაკლიმ თავის ქართუწლებით ყიზილბაშებს წინ რომ გამოუარეს, გაშტერდნენ და ინანდნენ: რა ცოტანი ყოფილან, რატომ გაა არ შეუკარით, რომ სულერთიან გაგვეწყვიტა ისინიო. ამასთან საჩქაროთ გზაზედ ჩამოვიდნენ და მოუწყუწტელის თოფის სროლით აედევნენ უკან. არც ქართუ̂ლები დარჩნენ ხელ–ცარიელები იმათზე, თუმცა დაღალულ-დაწყვეტილებიც იყუნენ.

შუა სეიდაბათის ორღობეში ის გამოსწრაფებული ყიზილბაშებიც მოეწივნენ და კიდეც შემოუტიეს, ეგონათ ამითი შევაშინებთ, გადავსრესთო, მაგრამ მაშინდელს ქართუწლების გულსა რა შეაშინებდა, ნამეტნავად იმისთანა კაცთან, როგორც მეფე ირაკლი! შემდეგ

იმისთანა გამოჩენილი ვაჟკაცი თავად-აზნაურნი გარს ეხვივნენ და რამდენს ომებში იყვნენ გამოცდილი! მასუკან უფროსი ერთი სულ თავის საკუთარი ამალა ახლდა და მერეთ ას ორმოც და ათმდისინ თავის შინაური თათრები, რომელთაცა სული მეფის ირაკლისთჳს ჰქონდათ შეწირული და რომელთაცა კიდეც დაამტკიცეს, რომ თითქმის სულ ერთიან გაწყდნენ იმ ომში და თუ გადარჩა ვინმე, დიახ ცოტა.

გაგულისებულმა ყიზილბაშებმა შემოუტიეს, მაგრამ მაინც ვერა დააკლეს-რა ქართუწლებსა იმ ორღობეში. მეფე ირაკლი თავის თავად-აზნაურებითა გაუბრუნდა და ზედ იმათ ჯარზე მიარეკეს, რომლებიცა მაშინვე გამოტრიალდნენ და საჩქაროთ წამოვიდნენ. მეფე ირაკლის კიდევ იმერლების იმედი ჰქონდა: აქ სადმე იქნებიანო. მაგრამ იმათი ამბებიც მოახსენეს: წავიდნენო. და ბატონიშვილის დავითის ამბავიც ზედ დაატანეს. უბედურმა მეფე ირაკლიმ თავი გადააგდ-

გადმოაგდო დაღონებულმა და სხუა კი აღარა თქუა-რა, ამისთჳს
რომ ძალა იმის მეფობისა მოკლული იყო. მტრებისაგან, რომლებსა-
ცა ღმერთი სწამდათ და იმისი მტრები კი იყვნენ. ის უსვინიდი-
სონი...

იმ შემოტევის შემდგომ, თუმცა შემოტევა ვეღარ გაბედეს,
მაგრამ სეტყუასავით ტყჳა მოაყარეს ქართუწლებსა და ქართუწ-
ლებიც უშიშრად გულს უშვერდნეს და თან ესენიც ესროდნენ, მა-
გრამ რა გახდებოდა, ერთს ქართუწლსა, ოცი დაქვეითებული ყი-
ზილბაში თოფს ესროდა. ასე ამ ყოფით, უნამეტნავესი ქართუწ-
ლები დაიხოცნენ და იქ დაიგდეს თავი, იმ გაცეცხლებულს ომში,
რომ მინამ აბანოებთან ჩამვიდნენ, სამასი კაცი ძლივს ჩამოჰყუა
მეფეს: ჭირი მართალთაო. ქართუწლებო, მართალი იყავით და ჭი-
რიც გეწიათ. ეგ თქუწნი სისხლი ღმერთთან ღაღადებს...

აბანოების ზევით მაღლობს გზაზედ ყიზილბაშების დასტები
მოადგნენ, უნდოდათ ქართუწლებისთჳს შემოეტიათ, მაგრამ ზედა-
ტანებით ზევით ციხიდგან მეზარბაზნე თოფჩმა სომეხმა აღალუამ
ზარბაზნები დაუშინა ყიზილბაშებს, რომლებიცა შეაყენა ვეღარ წა-
მოვიდნენ და ამით მეფეს ირაკლის დრო მისცა, რომ თავის ქარ-
თუწლებით გაყარა.

45

მეფე ირაკლი ავლაბრის ხიდის თავში რომ მივიდა, მოინდო-
მა ქალაქზედ გაეარა და დიღმის გზაზედ წასულიყო, მაგრამ ზევით
რომ ითქუა, იმ ალავერდბეგ ედიგარაშვილმა მოახსენა:

– «ჩემო ჴელმწიფეო, რას შვრებით, ხიდზე გაიარეთ და ავ-
ჭალის საგურამოსაკენ წაბძანდით, მე ყიზილბაშებს აქ დავხვდები
და მე ვიცი რომელს გზაზედ გავისტუმრებ იმათ, თქვენ მშვიდო-
ბით წადით». თათრის კიკინები ჰქონდა და თავიც მოპარსული, თჳთონ
თათარიც იყო [24]). ამ სიტყვაზე მეფე ირაკლიმ ცხენი გაატრიალა და
ხიდისაკენ წავიდა, მაგრამ იქ შუა ხიდზედ ცხენი გამოატრიალა და
შეწუხებუდმა დაიძასა.

– «ნეტა სად მივდივარ? – წავალ და მეც ჩემ შვილებთან მოვ-
კვდები ამ ქალაქის ხალხში და იმათ ვნებას მე ვერა ვნახამ».

მაშინვე ივანე მუხრანის ბატონმა მეფის ირაკლის ცხენის
ჯილავს ჴელი უტაცა, გამოატრიალა, ერთის მხრითაც ბატონიშვი-
ლი ალმასხან მივარდა, მეორეს მხრით ბატონი შვილი ივანე, უკან
ცხენსაც ქიზიყის მოურავმა მათრახი დაუკრა და საჩქაროთ გაარბე-
ნინეს გულ მოკლული საცოდავი ერეკლე;

იქნება საქართუწლოს და ქართუწლების დამღუპავსა ღმერთმა
შეარჩინოს? – იმედი მაქუს სიმართლე თავისას არ დაჰკარგავს.

როდისაც რომ მახათის ძირში მივიდნენ, იქ საშინელი ჴმები
მოვიდა ქალაქიდგან, სადაც უწყალო მტერი შეესია და ვაება მოხდა
ქალაქში, რომელიცა დადგა და მწარეთ მოთქმა დაიწეო. მეფე ირაკ-
ლიმ:

– «ოჰ ღმერთო, რასა ვხედავ და ან რა ჴმა მესმის? ჩემო საყვა-

რელო შვილებო, მე თქუჷნს ამაღლებას ვცდილობდი, მე თქუჷნის ბედნიერებისათჳს ვზრუნამდი, თქუჷნი მცირე მწუხარება ჩემთჳს

---

[24]) როდისაც სპარსელები შემოვიდნენ, ალავერდბეგი იქვე ცხენით დახვდა და სპარსულათ ჰკითხეს.

– „შენ ვინა ხარ?“

იმან სპარსული კარგათ იცოდა, უთხრა,

– „მე ჯავათხანის კაცი ვარ.“

– „თუ იცი, ვალი (მეფე) ირაკლი რა იქნა?“

– „აქეთ, ამ ქალაქისაკენ წავიდა“. და ამ სიტყვაზედ იმათ ქალაქისაკენ გასწიეს. ისინი რომ იქით წავიდნენ, ალავერდბეგმა ცხენს მათრახი ჰკრა, საჩქაროთ ხიდზე გაარბენინა და მახათასთან მეფეს ირაკლისა მოეწია.

სასიკვდინო იყო და სიხარული ბედნიერება!... ნაცვლად თქუჷნის დღესასწაულისა, დღეს საშინელება ტრიალებს თქუენზე, ნაცვლად თქუჷნის მხიარულის საკრავებისა, დღეს ატადის კალოს ჴმა მესმის თქუჷნზედ მოსული, ნაცვლად თქუჷნის უჯავრელის სიმღერისა, დღეს თქუჷნი მწარე ტირილი ზეცაში ღაღადებს. რამთენი თმაგაწეწილი დედანი და ქალნი წივიან და კივიას ეხლა, ის ჴმა შენ ხო გესმის, ღმერთო? – რამდენი კაცი ყელ-გამოჭრილი ეყრებიან ეხლა, ამაებს ვერა ხედავ, ღმერთო? – ჩემო ძმებო, ჩემო შვილებო, ჩემო მეგობრებო, ჩემო ამხანაგებო, ჩემო საყუარლებო და ჩემო სასურველებო! მე თქუჷნთჳს უნდა მომკვდარვიყავ და თქუჷნ ჩემთჳს იხოცებით. აბა რიღას მეფე ვარ, რით დაგიფარეთ?»

ამ მოთქმაში თავისი ქართუჷლები უკან უდგნენ და ცრემლით იღვრებოდნენ. კიდევ თავისი სიძე ივანე მუხრანის ბატონი მივიდა და დიდის ხვეწნით სთხოვა დაჩუმებულიყო, მაგრამ მაინც ეს ორიოდ სიტყუა კიდევა თქუა:

– «რაც განძრახუა მქონდა, იმ დაწყობილებით რომ დავმარცხებულიყავით, ვიტყოდით ღმერთმა არ ინებაო და ისე შესაწუხებელი აღარ იქნებოდა. რატომ ღმერთმა გუშინვე ჩემი თავი ომში არ მოაკვლევინა და ეს საშინელი უბედურება მაჩუჷნა? – რა კარგი ბედნიერი სიკვდილი იქნებოდა ჩემთჳს. არ ვიცი ეს ამისთანა უსვინიდისო ღალატი, საიდგან რა უნდა იყოს, ვფიქრობ და ვერა გამიგია–რა?»

ამ უკანასკნელს სიტვასთან, თავი ჩაჰკიდა და ღრმათ დაღონდა.

ამ ამბავში ერთი ადრიბეჟანის ხანი მიადგა თავის ჯარით უკან მთიდგან, განგებ საჩაროთ წამოსულიყო: მეფეს ირაკლის ყიზილბაშის ჯარი არსად მოეწიოს, გავაფთხილებო. ხანმა შემოხედა და ირაკლის ბაირახი იცნა, რომელმაცა მაშინვე კაცი გამოუგზავნა, ჯერ მოკითხუა შემოუთუვლა, მასუკან დიდი მწუხარება იმ უბედურობისათჳს და მერეთ მოახსენა: საჩქაროთ წადით, თორემ დიდრონი ჯარები მოდისო.

ყოვლის ძალისაგან მოსპობილ მეფე ირაკლის და საშინელს ღალატში ჩავარდნილსა რაღა უნდა ექნა? – ამის მეტი ვეღარა მოი-

ფიქრა-რა, გატრიალდა თავის ქართუ‍ლებით და იმ ღამეს საგურა-

მოში ავიდნენ და იქვე დადგნენ, დაღალულ-დაწყუეტილები და მწა-
რეთ შეწუხებულები.

იმ ამბებში ვინც მეფე ირაკლისთან იყვნენ პირუ‍ლი გუამები,
იმ თავიდგან უკანასკნელამდისინ იმათი სახელი არ უნდა დაიკარ-
გოს, იმათი სახელი უნდა დაიწეროს აქა.

პირუ‍ლი. თჳთ მეფის ირაკლის ძე ვახტანგ (მომატებული
სახელი ალმასხან). ამას სამასი ცხენიანი აზნაურშვილები ჰყუანდა
თავიანთი მოსამსახურეებით, არაგუ‍ლები, რომლებიც სულ თმში
დაიხოცნენ და თავი იქვე დაიგდეს. ამ ბატონიშვილს, არამც თუ
სამასი მეომარი, შეეძლო სამი ათასი მოეყვანა იმ ხეობის ოსებით,
კარგი ვაჟკაცნი, მაგრამ იქაც ეშმაკები შეიპარნენ და იმათ ჩაშალეს.
მეორე. მეფის გიორგის ძე ბატონიშვილი ივანე განუყრელად თა-
ვის პაპას ახლდა და ყოველს ომში იბრძოდა, როგორც უშიშარი
გმირი. ბევრჯელ მეფეს ირაკლიზედ სეტყუასავით ტყჳა რომ წა-
მოვიდოდა, ბატონიშვილი ივანე გადუდგებოდა წინა და თავის გუ-
ლსა მიუშვერდა. მაშინ ამას ქსანი ეჭირა, ამასაც შეეძლო ათასი
ცხენიანი კაცი გამოეყუანა, მაგრამ ორმოც და ათამდისინ ძლივსღა
ჰყუანდა. აქაც ე შმაკებისაგან მოხდა. **მესამე.** მეფის ირაკლის სიძე
ივანე მუხრანის ბატონი ზურგს უნახავდა მეფეს და განუშორებ-
ლად გუ‍რდით ახლდა და რამდენს განსაცდელიდგან გამოიხსნიდა.
ამასაც შეეძლო ათასამდის ცხენიანი კაცის გამოყუანა, მაგრამ სა-
მოცამდისინ ეყოლებოდა. აქაც რასაკვირველია ეშმაკები იყუნენ, იმ ვა-
კე სამუხრანოში. არამც თუ ორსა და სამს ადგილს – მთელს სა-
ქართუ‍ლოში იყო მოდებული, საზიზღარი მოღალატე კაცე-
ბი, ეშმაკებისაგან ეშმკები. **მეოთხე.** კუალად მეფეს ახლდნენ
მეფე ირაკლის სიძე თ-დი ზაქარია ენდრონიკაშვილი (ეს ზევი-
თაც ვთქჳთ) და თ-დი ივანე აბაშიძე, რომელთაცა ასე გამოიჩინეს
თავი იმ ომებში, რომ რომელს მხარეზედაც ეს ორნი შეუტევ-
დნენ თავის მახლობლებით და მოსამსახურეებით, მაშინვე გააქცევ-
დნენ, მაგრამ მოსამსახურეები ცოტაღა დარჩათ, ომში დაიხოცნენ.
მეხუთე. მეფის მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი და იმის სახ-
ლის კაცი, ყმაწვილი კაცი არსენიც, პირველს ომში ახლდნენ მეფეს,
მაგრამ იმ კვირა ღამეს გაეპარნენ მეფეს; ვერის ხეობას მიმართეს

და ხიზნებისკენ წავიდნენ. თჳთ არსენისაგან გამიგონია: თჳთ მეფემ
დაგვითხოვაო, მაშ რა უნდა ვთქუ, თავს ამით იმართლებდა, მაგ-
რამ მე კი სწორეთ ვიცი, რომ გაეპარნენ. არსენ ჩემი კარგი მცნო-
ბი იყო და ბევრი ამბებიც გამიგონია იმისაგან მაშინდელი. **მეექვსე.**
ოთარ ამილახვარიც იქ იმ საშინელს ომებში ახლდა მეფეს ირაკ-
ლისა და სხვა თავადებიც კარგა იმთენი, რაც მეფე ირაკლის იმ

ორი ათას მეომრებსა შეეფერებოდა, სადაც იბრძოდნენ უკანასკნელს სიცოცხლეზედ თავდადებით [25]). მომატებული ქება რაღა უნდა? – ის ორიათასი ქართუზლი მეომრები თავის ბატონებით ერთი-ერთმანეთზე კარგნი იყვნენ, ნამეტნავად მებატონეების მოსამსახურეებმა უფრო დაამტკიცეს. თითქმის სულ მტრებისაგან დაიხოცნენ და, თუ დარჩა ვინმე, დიახ ცოტა.

წარმოიდგინეთ, საქართუზლოში რა ღალატი უნდა ყოფილიყო, რომ მთელის საქართუზლოდგან და თათრებიდგან ორი ათასი მეომრის მეტი არა ჰყუანდა მეფეს ირაკლის? – ამისთანა ქუზბუდანი, ღვთის გარეგანი ღალატი გაგონილა სადმე?

საგურამოდგან მეფე ირაკლი და იმისი ქართუზლები მეორეს დღეს გაუთენებლივ აიყარნენ და იმ დღეს მთიულეთს მივიდნენ, ციხის ძირის სოფელში ანანურს ზევით და იქიდგანაც მეორე დღეს ადრე ბატატანთ კარს მივიდნენ, სადაც მეფის ირაკლის ხიზანი იყო.

დედოფალმა მეფეს ირაკლის რომ შემოხედა და იმისი რკინისა ჟანგიანი ფერის სახე დაინასა, საშინელი დაიკივლა: ვუი ჩემს თავს, ქალაქი დაღუპილა საწყალი. და გულს შემოეყარა. წაეხვივნენ და ერთს საათზედ ძლივს მოაბრუნეს. მასუკან თავი მოიხადა და მოსთქუა საცოდავის სიტყუზებით, სადაც შეიქნა ასეთი ქვითინი, რომ ის ხეობა ჴმასაც აძლევდაო, რთ მ გრგვინუას გუანდაო. უბედური მეფე ირაკლი, მხოლოდ ის ერთი, გულჴელ დაკრეფილი, გულგაქუაებული და თავ-ჩაკიდებული უცრემლო, გაჩუმებული იყო კარგა ხანი. ბოლოს თავი აიღო და ხუზწნით უთხრა დედოფალსა.

---

[25]) თ. იოსებ ამილახვრის შვილისაგანაც გამიგონია იმ აღა-მამად-ხანის ომის ამბები, ისიც იქ ყოფილა.

– «ჩემო უსაყუარლესო დედოფალო, მოითმინე შენი ჭირიმე».

მასუკან მოჰყუა და როგორც უნდა ამგუარს შემთხუზვაში მოთმინება, იმაზედ ილაპარაკა. მეორეთ ამის მეორე დღეს აყრა ბძანა და იქიდგან ბურდულიანთ კარში მივიდნენ.

პირუზლად ყიზილბაში ქალაქში რომ შემოვიდა, ამ დროს აღა-მამად-ხან წართმეულს ქართუზლების ზარბაზნებთან იდგა, სადაც ამბავი მიუვიდა: ქალაქი ავიღევითო. მაშინუზ სიხარულით წამოვიდა და მეფის სასახლე ნახა, რომელსაცა დიდათ მოეწონა და თქუა.

– «სპარსეთის ჴელმწიფე ვარ და ამისთანა სასახლე მეც არა მაქუს».

მასუკან მეფის სალარო ნახა და დიდათ გაშტერდა იმთენის სიმდიდრით. მერე გატრიალდა, სამშაფათის აბანოში იბანა და დღევანდლამდისინ იმ ერთს აუზს უძახიან, რომელშიაც ებანა: შაის აუზი. საიდგანაც ნააბანოევი გამოვიდა და სოღალუხში ჩავიდა დიდი კმაყოფილი. იქიდგან ბძანა: საქართუზლოზედ თარეში წავიდესო, მაგრამ თუ მცირედი ჯარი ნახოთ სადმე, მაშინვე გამოტრიალდით და საჩქაროთ წამოდით.

თარეშმა ქართლის ტირიფონამდისინ იარა და მეტი ვეღარ გაბედეს, სადაც სოფლები სულ აყრილიყო, ისინი მიგოხ-მოგოხეს, ანუ აიკლეს. გზაზედაც ვისაც მოასწრეს, ვინც ჴელი გამოიღო მოკლეს; გინც არა და ტყუწთ წაიყუანეს. კახეთი კი მშვიდობით გადურჩათ, ლილოს იქით ჯარი არ წასულა.

ცხრა დღეზედ მომატებული ვეღარ იარეს და მასუკან ჯარები სულ ქალაქის პირში შეიყარნენ; აღა-მამად-ხან იმათში ჩადგა, ქალაქი შემოიარეს – სოლოლაკის მთა გადიარეს და სპარსეთისაკენ გაიმართხენ. ჯავათხანმა ჰკითხა: ასე ადრე რათ მიბრძმანდებითო?

– «სჯობია საჩქაროთ წავიდეთ. მეფე ირაკლი ჭკვიანი კაცია და ბევრს ამბებში გამოცდილი. იმან ქალაქი განგებ დაგუანება; უნდა ჩუმათ ჯარები მოიყუანოს და სულ ერთიან წაგუახდინოს, ამისთვის სჯობია საჩქაროთ გავეშურნეთ.» ეს აღა-მამად-ხანის პასუხია. თჳთ ჯავათხანის სიტყუა მეფეს ირაკლისთან და კიდეგ ბევრი სხუაცა....

50

ქ. ტფილისისაც ასე იყო. დარჩენილი ხალსი სულ ტყუწთ წაიყვანეს, სიკვდილით კი მაგთენი არავინ მოუკლამთ, თუ ჴელი არავინ გამოიღო. გარდა ამისა ქალაქის შენობები აგრე რიგათ ბევრი არ დაუწვამთ, უფრო უკეთესი შენობანი დაწუწს და მეფის ირაკლის სასახლეც.

შემდგომ ამისა, მეფე ირაკლი თელავში გადავიდა თავის ხიზნით, დედოფალი ავანტყოფი იქ დააგდო, შეუძლებლობისა გამო. სიცხის ძლევა დაუწყო და თჳთონ ქალაქში ჩამოვიდა ტფილისს, სადაც მწუხარენი დახიზნული ხალხი შეიკრიბნენ და, რაოდენ შეიძლებოდა, ნუგეშს სცემდა იმათ, რომლებმაცა შენობანი ისევ ისე გააკეთეს მეფის შემწეობით, თუმცა მეფეს ირაკლისაც აღარა დარჩა-რა მაგთენი, იმ ნივთიერების გარდა, რაც დედოფლის აყრის დროსა გაიტანეს (ზევითაც ითქუა). ასე გახრიკა აღა-მამად-ხანმა მეფის სასახლე. მაგრამ მაინც მეფე იყო, კიდევ შეეძლო თავის შეძლებითა მემწეობა ხალხისა და კიდეც შეეწია.

მეფე ირაკლის უკგირდა: მე უფრ. სხუა რიგათ მეგონა, რომ დიდს უწყალოებას დამართებდა ხალხსა, იმ ტყუწბს ღვთის შეწევნით ჩქარა გამოვიხსნითო, ბოლოს დროს ისეც მოხდა, თუ იქ დარჩა ვინმე, დიახ მცირე, მაგრამ აღა-მამად-ხანისაგან ქალაქის აღება მეფისთჳსა მძიმე იყო და ძალიან ფიქრობდა მაზედ: იმისაგან მამულის ასე ადგილად გალახუა დიდათ სწყინდა, რომელიცა თავის დღეში არ დამარცხებულა. ბოლო დროს მაინც კიდევ, ხელმეორეთ აამხედრეს აღა-მამად-ხანი მეფეს ირაკლიზედ, საიდგანაც სპარსეთით ამბავი მოუვიდა: აღა-მამად-ხან კიდევ აპირებს წამოსვლასაო.

მეფე ირაკლიმ მაშინვე დიდი კაცები და პირწლი სახლის შვილები მოიწვია და იმათში ბევრი მამულის სიტყუწბი თქუა, რომელთაცა ყუწლამ შეჰფიცეს:

– «გავწყდებით და აღა-მამად-ხანს მაგიერსა მივაგებთო».

მეფე ირაკლიმ იმათ გელმოდგინება რომ გაიგონა, უთხრა:

– «მაგის დასამტკიცებლად მაშ ასე უნდა მოხდეს, რომ მთელი საქართუ‍ლოს ხალხი ჩუ‍ნი ცოლშვილებით აქ ქ. ტფილისში ჩამოვიდეთ. არამც თუ კაცებმა, დედაკაცებმაც იარაღი უნდა აიღონ. ეს იქნება სისხლის აღება, რაც ამ ქალაქს უყვეს».

51

ამაზედაც სულ ერთიან გაიფიცნენ და მზადებაში შევიდნენ.

ბევრი სახლეულობაც ჩამოვიდნენ ქალაქში და მეფის სახლეულობაც რომ წამოვიდა თელავიდგან, ამდროებში ქალაქში მახარობელი მოიწრა მეფეს ირიკლისთან: აღა-მამად-ხან ყარაბახში მოკლესო.

ამ ამბის მახარობელი იყო ბაიდრის ალმას სულთანი, თვით იმან მიანბო.

– «ყაზახში ვიყავ, ეს ამბავი პირველად იქ შევიტყვე. იყო ახალი გათენებული. მაშინვე ცხენზე შევჯექ, ძალიან კარგი ცხენიც მყუანდა, რომელიცა ჩაფრულათ წამოველ და ქალაქში ბატონს ვიახელ სამხრობის დროსა. იმდროს ბატონი თავის დამწუარს ნასახლართან იდგა თავის დიდრონის კაცებითა და რაღასაც ლაქარაკობდნენ. ცხენი ისე მივაჭენე და ბატონს დავუძახე: ბატონო გამარჯ‍ჩ‍ბა მამილოცავს. და ამასთან ცსენიდგან გადმოვხტი. ბატონმა შემამხედა, მიცნა და მაშინვე ჩემთან მოვიდა, მკითხა: რა ამბავიაო? – აღა-მამად-ხან ყარაბაღში მოკლეს-მეთქი. ბატონს დიდათ იამა, მაგრამ სხუ‍ბი კი შეწუხდნენ: ესე ჩუ‍ნი უბედურობა არის, რომ მაგიერი ვერ მივაგევით აღა-მამად-ხანსაო».

თათრისაგან ეს ამბავი ასე მამეწონა და ასე მიამა, რომ იმის პატივისცემისთვისა იმის მახარობლობა ასე წვრილად დაუწერე. იმ დროებში დიდი ერთგულნიც იყვნენ ქუ‍შევრდომი თათრები ირაკლისა. მაშინ როდესაც რომ ზოგიერთი სომხებისაგან და ზოგიერთის ქართუ‍ლის თავადისაგან საქართუ‍ლო დაიღუპა.

მეფე ირაკლიმ მაშინვე დედოფალთან მახარობელი გაგზაგნა: აღა-მამად-ხან ყარაბაღში მოუკლამთო. და ესეც შეუთუალა: ნუღარ მოხუალ, მე ჩქარა მოვალ შენთან, როდისაც აქ საქმეს მოვრჩებიო. მასუკან ყოველს ეკლესიებში სადღესასწაულო პარაკლისები გადაახდევინა და დიდი მადლობა შესწირეს ღმერთსა!

ძალიან კარგი მოხდა საქართ‍ლოსათვის, რომ აღა-მამად-ხან მოკლეს, თორემ თუ არ მოეკლათ, უფრო საზიზღარი ღალატი იყო მომზადებული, მთელი საქართუ‍ლო უნდა გაეოხრებინათ. ამ განზრახვით მოდიოდა აღა-მამად-ხანი, როგორც დიდი შაჰბაზ.

52

აღა-მამად-ხანის შემდგომათ, როდესაც მეფე ირაკლიმ განჯის ციხე აიღო, განჯის ხანი ჯავათხან გამოიყუანა (აღა-მამად-ხანის ნათესავი იყო და მეგობარიც. თჯთ იმან წამოიყუანა საქართუ‍ლოზე)

და ბოლოდროს კარგათ დაიახლოვა, ის უკანასკნელი საქართუ‍ბ‍ლოს გაოხრების ამბავი, იმას ეანბა; ვინც მიზეზი ყოფილიყო, ისიც ეთ-ქუა და ბევრი სხუა ამბებიც... ისინი მომავლისათჳს შევინახოთ. მაგრამ იმ საიდუმლოს ამბების გაგებით მეფის ირაკლის პირმა აღარ გაიღიმა და კიდეც დასნეულდა.

ჩემს ყმაწვილს კაცობაში, ჯერ რომ ჯუარ-დაწერილი არ ვი-ყავ და ახლათ კი დავინიშნე, იმ დროს ერთს საღამოზედ, ჩემის სი-მამრის სიძის დის ქმართან თ. ელიაზარ ფალავანდიშვილთან ვიყავით (მეფის გიორგის მდივანთან) თჳთ ჩემი სიმამრი დავით ბარათა-შვილი, ჩემი მამიდაშვილის ქმარი, ნინია მელიქიშვილი, ანტონ ქა-თალიკოზის ნაზირი, აზნაური ნიკოლოოზ ელიოზისშვილი, მეფის ირაკლის, მეფის გიორგის და იმათი მთელი სახლეულობისა აქიმ-ბაში აზნაური ივანე კარაევისშვილი და მე.

უწინ მაინც ასე იყო, როდისაც ძუ‍ბ‍ლები შეიყრებოდნენ, სულ ძუ‍ბ‍ლს ამბავს უბნობდიან, ნამეტნავად მეფის ირაკლისას, რომელ-თაცა ჩუ‍ბ‍ულებრივ ირაკლის ამბავი ჩამოაგდეს და თჳთოს იმის კარგს ამბავზედ თჳთოს ასე ამოიოხრებდნენ, რომ მართლა მძიმეთ. შემდგომ ნინიამა თქაბ მწუხარებით:

– „სწორეთ ვიტყვი. თუ მეფეს ირაკლის ის უბედურება არ შემთხუ‍ბ‍ოდა, აღა-მამდ-ხანისაგას ამ ქალაქის აღება, მეფეს ირა-კლის წმინდა ნაწილებათ დასჭრიდნენ საქართუ‍ბ‍ლოს ხალხიო, შე-სანახად“.

ელიაზარ მდივნის პასუხი: – «ჩემო ძმაო ნინიავ, მე ყუ‍ბ‍ლა-ფერი წვრილად ვიცი და ეხლა აღარც დავმალავ, აქ იმისთანა არავინ არის, რომ დასამალავი იყოს. მეფეს ირაკლის ვინ რას დააკლებდა, მაგრამ ღალატობას რა გაეწყობა.» ამასთან აღაღო პირი და რამ-თენი რაები თქუა...

მასუკან ივანე აქიმბაშმა: – »მე ყოველთჳს მეფეს ირაკლისთან ად ბატონიშვილებთან ვიყავი, ეს თქუ‍ბ‍ნც კარგათ იცით და კარგა-

დაც გეხსომებათ», მოჰყუა და დიახ ბევრი ილაპარაკა და ესეც და-უმატა: – «ამას აქ ვამბობ, თორემ სხუაგან პირს მოვკუჭამდი ამაზე».

ჩემა სიმამრმა: – «ძლივს ერთი ადგილი შეგვხვდა, სადაც ყუ‍ბ‍-ლას და სწორეთ ვიტყჳთ. თქუ‍ბ‍ნც კარგათ იცით, რომ იმავ ჩემის ყმაწვილობითვე ბატონიშვილს დავითს ვახლდი და ამის გამო მეც უნდა ვიცოდე იმათი ამბავი». მერე დაიწყო და ამანაც ბევრი თქუა.

ბოლოს ნიკოლოოზ ნაზირმა თქუა: – «მართლა, რომ დიახ იშვიათად შეგვხვდება ხოლმე ასე მეგობრულად სანდო ლაპარაკი. მე ანტონ ქათალიკოზის გაზდილი ვარ, თქუ‍ბ‍ნც იცით ესა და თანაც გადავყევ რუსეთში და ქალაქიდგანაც რომ გავიდნენ ორშაფა-თის ღამეს აღა-მამად-ხანის დროსა, მე ქუ‍ბ‍ვითი გავუძეხ დედოფალსა და ქათალიკოზსა; ცხენი ვერ ვიშოვე, ისე საჩქაროთ წავიდნენ. ბა-

ტონიშვილი ამათი დედაც იქ ცხენით მობძანდებოდა (ჩემზედ მოიღო ჴელი) თავის ძმის ანტონ ქათალიკოზის გვერდით, რომელიცა დიას ბევრს ლაპარაკში დავსწრებივარ მეფეს ირაკლისთან და ანტონი ქათალიკოზთან, იმათ საიდუმლოს ლაპარაკში; ასე მენდობოდნენ მე ისინი. კარგათაც მახსომს იმათი ლაპარაკი». ამასთან დაიწყო და იმან უფრო ბევრი ილაპარაკა.

მარტო იმათგან ხომ არ გამიგონია აღა-მამად-ხანის ამბები, რავდენი კიდევ სხუზბისაგან შემიტყვია (ზოგიერთი ამ აღწერაშიაც ჩანს), რომლისაცა ნახევარიც არ დამიწერია აქ, ამ აღწერაში და არც მომატებული საჭიროა, ესეც კმარა.

იმ ძუზლის ამბებისა გაგონება დიდათ მიყუარდა ყმაწვილობით და ის ძუზლებიც არ მალავდნენ ჩემთან, არც ჩემს უმაწვილობაში და არც ჩემს ყმაწვილს კაცობაში. დამისომდნენ გუზერდით, მამიყუზბოდნენ და თან ამას მეუბნებოდნენ: ნურავის კი ნუ ეტყვი.· იქნება თქუან, ვინც ამას წაიკითხავს: რად მალავდნენო? – რადაც მალავდნენ, ჯერ იმას დავეხსნათ.